# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 6 აგვისტო, 2008 წელი.

№ 144 (6002)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



## „ერია თუ ბერია, ყველა დასაჭერია(?!)“ 2

საბრალდებო დასკვნა საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის და საპარლამენტო უმრავლესობის წინააღმდეგ

## ლიბოძლიერი „ლიბო ჯგუფი“



ხარისხის ეტალონი 6 საქართველოს 7 სამშენებლო ბაზარზე

## მეირაბის ბოლოს... ზარბაზანი — სინათლის ნაცვლად 2

## ანუ რატომ ვერ დამალა რუსულმა ხალთამ ოსური შუბი

- პატარები გაჰყავთ და ბოევიკები შემოჰყავთ
- ბავშვები გამოელიათ თუ ავტობუსები?
- ოსები ცეცხლს ეთამაშებიან

2

## სააკაშვილს ორ ფრონტზე ომი ემუქრება

ИЗВЕСТИЯ 8

## უფულო ქვეყანაში მილიონებს აფრიალებენ 5

სოსო ცისკარიშვილი: „ორი წლის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ ვერ შეძლო ომის მოლოდინის მოჯადოებული წრიდან გამოსვლა“ 3



მშიერი სამართალი

# „ერია თუ ბერია, ყველა დასაჭერია (?!)“

## საბრალდებო დასკვნა საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის და საპარლამენტო უმრავლესობის წინააღმდეგ

**საქართველოს პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და საპარლამენტო უმრავლესობას ბრალი შეიძლება წარედგინოს ადამიანის საერთაშორისო უფლებათა სამართლის ნორმების და საქართველოს კონსტიტუციის ხელყოფასა და დარღვევაში, აგრეთვე სისხლის სამართლის დანაშაულებში.**

**კერძოდ, ბურჯანაძემ და მისმა საპარლამენტო გუნდმა:**

1ძ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 და მე-7 მუხლების დარღვევით ცვლილება შეიტანეს საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის ჟძ პუნქტში და პრეზიდენტს მიანიჭეს **მოსამართლეთა დანიშვნის და განთავისუფლების ექსკლუზიური უფლება, რითაც სასამართლო ხელისუფლება მას დაუქვემდებარეს.**

2ძ საქართველოს კონსტიტუციის 91-ე მუხლის გაუქმებით, **პროკურატურა გამოიყვანეს მართლმსაჯულების სისტემიდან და იგი პრეზიდენტს დაუმორჩილეს,** რითაც დაარღვიეს საქართველოს კონსტიტუციის 5 და 7 მუხლები.

3ძ საქართველოს კონსტიტუციის მე-5, მე-6 და მე-7 მუხლების დარღვევით, **გააერთიანეს უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროები;**

4ძ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის დარღვევით პრეზიდენტს მიანიჭეს **პარლამენტის დათხოვნის ექსკლუზიური უფლება, რითაც საკანონმდებლო ხელისუფლება მას დაუქვემდებარეს.**

5ძ საქართველოს კონსტიტუციის მე-2 და მე-12 მუხლების დარღვევით დანაშაულებრივი უმოქმედობა გამოიჩინეს, და იურიდიული ძალის არმქონედ არ გამოაცხადეს **აფხაზეთში მცხოვრები პირებისთვის რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობები,** ანუ არ აღკვეთეს რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ანექსიის მცდელობა.

6ძ საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის დარღვევით **დსთ-დან გამოსვლაზე უარი განაცხადეს,** ანუ დანაშაულებრივი უმოქმედობით დაბლოკეს გაეროს ჯარებით დსთ-ს ჯარების ჩანაცვლება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

7ძ საქართველოს კონსტიტუციის 6, 7, 39 და 48 მუხლების დარღვევით **კონტროლი არ გაუწიეს მთავრობის საქმიანობას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის დარგში,** რის შედეგადაც ხელყოფილ იქნა საქართველოს კონსტიტუციის 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 23, 24, 25, 28, 30, 31, 32, 33, 34, 35, 37, 40, 41 მუხლებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.



**პირადად ბურჯანაძემ, როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა,** არ უზრუნველყო სამართლიანი, თავისუფალი და გაუყალბებელი პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება, ანუ დანაშაულებრივი უმოქმედებით ხელყო **ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის უფლება, რითაც სავარაუდოდ ჩაიდინა** დანაშაულები, რომლებიც გათვალისწინებულია:

**სისხლის სამართლის კოდექსის 164-1 მუხლით,** რომლის ძალით: არჩევნების დანიშვნის შესახებ აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების შედეგების გამოქვეყნებამდე ამომრჩეველთათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში გადაცემა ან მიყიდვა, უფასო მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების ან სხვა მატერიალური ფასეულობების გადაცემის დაპირება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან არჩევნებში ხმის მიცემისაგან თავის შეკავების მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 1 წლამდე.

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164-3 მუხლით,** რომლის ძალით: „არჩევნებთან დაკავშირებული დოკუმენტების, საარჩევნო სიების, ოქმების, ბიულეტენების, სარეგისტრაციო ჟურნალების და საკონტროლო ფურცლების გაყალბება ისჯება 2 წლით თავისუფლების აღკვეთით“.

**ბურჯანაძის და საპარლამენტო უმრავლესობის გუნდის ბრალი** ადამიანის საერთაშორისო უფლებათა სამართლის ნორმების და საქართველოს კონსტიტუციის ხელყოფასა და დარღვევაში, აგრეთვე სისხლის სამართლის დანაშაულებში დადასტურებულია საქართველოს ერთ-ერთი ხელისუფლების — სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენებით, სატელევიზიო და საგაზეთო პუბლიკაციებით.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,**

**ბურჯანაძეს და საპარლამენტო უმრავლესობის გუნდს ინდივიდუალურად ბრალი უნდა წარედგინოთ საქართველოს კონსტიტუციის ხელყოფის, კონსტიტუციური უფლებების დარღვევის და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153, 154, 161 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების დაფარვაში, ხოლო პირადად ბურჯანაძეს აგრეთვე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164-1 და 164-3 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში.**

**ბიძინა სავანელი,**
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

ესეც ასე!

# გვირაბის ბოლოს...
# ზარბაზანი — სინათლის ნაცვლად

## ანუ რატომ ვერ დამალა რუსულმა ხალთამ ოსური შუბი

**— იმ გვირაბის ბოლოს სინათლის ნაცვლად ზარბაზნების ლულა ჩანს და იგი ერთობლივად გავაკონტროლოთ მათი შემოტანის აღსაკვეთადო, — დიდი ხანია მოითხოვს რუსეთისგან საქართველოს ხელისუფლება.**

**როკის გვირაბზე იყო და არის საუბარი.**

**— არაო, არ არის იქ ზარბაზანიო, — გვიმტკიცებდა რუსი.**

**არადა, ყოფილა!**

**ეს რუს „მშვიდობისმყოფელთა“ გენერალმა კულახმეტოვმა დაადასტურა გუშინ, როდესაც ოფიციალურად, შავით თეთრზე დაწერა: პირველმა ოსებმა დაიწყეს სროლა, თანაც ისეთი იარაღით ბომბავდნენ ქართულ დასახლებულ პუნქტებს, რომელიც წესით მათ არ უნდა ჰქონოდათო.**

**ჰქონიათ!**

**საიდან? — როკის გვირაბიდან!**

**ვისგან? — რუსებისგან.**

**არადა, რა ისტერიკა ჰქონდა ატეხილი რუსულ მედიას, განსაკუთრებით — ელექტრულს. ისეთ მასალებს ავრცელებდნენ და იმგვარ სიუჟეტებს გადასცემდნენ, უცხოელი მაყურებელი კი არა, ჩვენც, ცხინვალიდან რამდენიმე კილომეტრში მყოფნიც კი, ლამის დაგვარწმუნეს, დღედღეზე უცილობლად დაიწყება საომარ შეტაკებებიო.**



**აკი ატრიალებდნენ კიდეც გარდუვალი საომარი მოქმედებებისთვის „განწირული“ ცხინვალიდან ბავშვთა გახიზვნის კადრებს...**

**საქმეში ოდნავ მაინც ჩახედული ნებისმიერი ადამიანი კი იოლად მიხვდებოდა, რომ ყველაფერი ეს წინასწარ ჩაფიქრებული და აპრობირებული რუსულ-ოსური სცენარით ხდებოდა.**

**მაგრამ რაც აქამდე ჭრიდა, ახლა დაბლაგვდა: რაკი ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტით დღეს უკვე საგნობრივად არის დაინტერესებული ლამის მთელი მსოფლიო, რუსულმა ტყუილმა ვერ იზეიმა: ამ ინციდენტს ხომ ამჟამად ეუთოს კომისიაც სწავლობს!**

**ამიტომაც ვერ დამალა აშკარად რუსულმა ხალთამ ოსური შუბი.**

**რუსლან რუსია**

კონფლიქტის ზონა

## ოსები ცეცხლს ეთამაშებიან

**გვიან ღამით, ოსმა სეპარატისტებმა სოფელ უბეათიდან სოფელ ნულის მიმართულებით ყუმბარმტყორცნიდან სამჯერ ისროლეს.**

ორი ყუმბარა პოლიციის საგუშაგოს დაეცა, ერთი კი საგუშაგოს წინ აფეთქდა. არავინ დაშავებულა.

## ბავშვები გამოელიათ თუ ავტობუსები?



**კოკოითის მთავრობის ე. წ. განათლების მინისტრი ალა ჯიოევა აცხადებს, რომ ცხინვალელი ბავშვების ავტობუსებით ევაკუაცია ჩრდილო ოსეთში დროების შეჩერებულია.**

— იმისთვის რათა კიდევ დავიქირავოთ ავტობუსები, ჩვენ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რამდენი ბავშვი აპირებს გამგზავრებას. ამჟამად ჩვენი თანამშრომლები იმათ აღრიცხვას აწარმოებენ, ვინც ჯერჯერობით აქ არის, — აცხადებს ალა ჯიოევა. მისივე თქმით, ორშაბათს ბოლო ორი ავტობუსი ცარიელი წავიდა.

## პატარები გაჰყავთ და ბოევიკები შემოჰყავთ

**ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები ქართულ მხარესთან ომის შემთხვევაში, ცხინვალისთვის დასახმარებლად მზად არიან, — განუცხადა სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდეტნმა ედუარდ კოკოითმა „რია ნოვოსტის“.**

სამხრეთ ოსეთში ჩრდილოეთ ოსეთის ძალიან ბევრი მცხოვრები ჩამოვიდა. ისინი თავს მოხალისეებად მიიჩნევენ და საკუთარი ხალხის დაცვას აპირებენ. ამ დროისთვის უკვე 300 ადამიანია ჩამოსული, კიდევ 2000-ს ველოდებით, — განაცხადა კოკოითმა.

კოკოითის თქმით, ცხინვალში 2000 ადამიანის გაგზავნა შეუძლიათ კაზაკებს, ყარაჩაი-ჩერქეზეთი 500 ადამიანის გასაგზავნად არის მზად.

დე ფაქტო პრეზიდენტი, ასევე, აცხადებს, რომ ცხინვალში უახლოეს მომავალში ავღანეთის ვეტერანთა რუსეთის კავშირიდან 50-კაციანი ჯგუფიც ჩავა.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

კითხული კაცის აზრი



*ცხინვალის რეგიონში ვითარების დაძაბვის გამო, პოლიტოლოგები ფიქრობენ, რომ ოს სეპარატისტებს სამშვიდობო პროცესის ჩაშლა და მსოფლიოს თვალში ქართველების აგრესორებად წარმოჩენა სურთ. მით უფრო, რომ რამდენიმე თვე დარჩა ბუქარესტის ნატოს მინისტერიალამდე, სადაც საქართველოსთვის არსებითი საკითხი წყდება. ამასთან, კოკოითიმ უტიფრად განაცხადა, რომ ცხინვალი ერთ გასროლას ელოდება ქართული ქალაქების დასაბომბადო.*

*ამ საკითხზე სასაუბროდ მივმართეთ პოლიტოლოგ **სოსო ცისკარიშვილს**. აი, რა გვითხრა მან:*

# სოსო ცისკარიშვილი: „ორი წლის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ ვერ შეძლო ომის მოლოდინის მოჯადოებული წრიდან გამოსვლა“

## რა შეცდომებს უშვებს საქართველო რონალდ რეიგან მეორის მოლოდინში



– ის, რომ კონფლიქტში ჩართულ მხარეთაგან სამხედრო დაპირისპირება ყველაზე სასურველია კოკოითის რეჟიმისთვის, ამაში, ვგონებ, ეჭვი ბევრს არ ეპარება, რადგან ასეთ დროს, ყველა მხარე უფრო მეტ უარყოფითს ელოდება, ვიდრე დადებითს. საკუთარ ტერიტორიაზე ან საკუთარი იმიჯისთვის ზარალის მიყენების ფასად, საომარი მოქმედება, ცხადია, გონების თვალით გადადგმული ნაბიჯი არ არის.

თავად კოკოითის კი, როგორც საფუძველგამოცლილ პოლიტიკოსს, მხოლოდ კონვულსიური მოძრაობები და უპასუხისმგებლო ქმედებები, როგორც პოლიტიკოსის იმიჯის შესანარჩუნებელ ფაქტორი, კიდევ რაღაც ხნის განმავლობაში, შესაძლოა აქტუალობას სძენდეს, ამიტომაა მისი უპასუხისმგებლობა ყველაზე მეტად რომ იგრძნობა. აქტიურობს რუს პოლიტიკოსთა ის ნაწილიც, რომელსაც მუშტებში მოკრეფილი ძალა აღარ აძლევს საშუალებას, გონების თვალით გადახედოს რეალობას.

ამდენად, რაც ხდება, სამწუხაროა, თან ლოგიკურია. რაც დღეს ხდება, ბუნებრივია რუსული და, სამწუხაროდ, ნაწილობრივ ქართული სახელისუფლებო სპექტრისთვისაც.

**– დრო და დრო, კონფლიქტის რეგიონებში ვითარება ხშირად იძაბება. თითქოს, ვიღაც თამაშობს, ერთობა ამ ყველაფრით, საქართველოს ხელისუფლება კი უმწეოა და ამ წესებს ღებულობს...**

– 2006 წლის ივლისის ქართულ პრესას გადავხედე, რომელიც დღევანდელ გაზეთებს საოცრად ჰგავს. ორი წლის წინათაც ზუსტად ასე წერდნენ, რომ ათ დღეში ომი დაიწყება, რა შედეგს მოუტანს ეს ცხინვალსო, და რომ რუსეთი ძაბავს ვითარებასო...

ორი წლის განმავლობაში, ჩვენმა ქვეყანამ ვერ შეძლო ომის მოლოდინის და ომისთვის მზადების მოჯადოებული წრიდან გამოსვლა.

**– რატომ? არსებით შეცდომად რა მიგაჩნიათ?**

– უპირველესი შეცდომაა ის, რომ საქართველომ უგულებელყო დიპლომატია, როგორც პროფესიული საქმიანობის დარგი და ეს სფერო სრულიად შეუფერებელ ადამიანებს ჩააბარა. მათ კი არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ, მათი წინა საქმიანობა მხოლოდ აგრესიას, ძალისმიერ ქმედებებს უკავშირდებოდა, შესაბამისად – აბსოლუტურად არადიპლომატიურ რიტორიკას, დაწყებული ელჩიდან ახლანდელი საგარეო საქმეთა მინისტრით დამთავრებული.

ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გარკვევისას მხოლოდ სამხედრო რიტორიკის მოყვარულებს მიეცათ ასპარეზი, რაც თავიდანვე წამგებიანი იყო საქართველოსთვის. რუსული გამოთქმა: „Сило есть, ума не надо“ ქართულ რეალობაში დამარცხების ნიშანია. მცირე ერმა თუ გონიერებით არ მოახერხა წარმატების მიღწევა, საკუთარი კუნთებით ტკბობა მას წინსვლას ვერასდროს მოუტანს.

ამდენად, ჩვენ მინიმუმ ორი წელი დავკარგეთ, არადა, შეგვეძლო, არა მხოლოდ პერიოდული მშვიდობისმოყვარე რიტორიკის შემოტანით, არამედ ჩვენი მცდელობებით დაგვემტკიცებინა, რომ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის მაგალითი მიმზიდველი გამხდარიყო თუნდაც დროებით იზოლირებული სეპარატისტული რეგიონებისთვის. ამის ნაცვლად, მუდმივად ცივი და ცხელი წყლის ეფექტით ვცდილობთ საკუთარივე შეთავაზებები მეორე წუთს წყალში გადაგვეყარა და მხოლოდ საკუთარ კაბინეტებში შემუშავებული გეგმით წარვდგენილიყავით საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე. წესისამებრ, ეს

**– რამდენად მართებულია ჩვენი სამხედრო ძლიერებით თავმოწონება, რასაც ფაქტობრივად, ღიად ვუპირისპირებთ რუსეთის ინტერესებს? რას მოგვიტანს ამ დიდ ჩრდილოელ მეზობელთან ჭიდილი?**

– სამხედრო ბიუჯეტის არნახული ზრდა ყოველთვის ბადებს კითხვას, მართლა მშვიდობიანად გვინდა თუ არა ჩვენი ქვეყნის გამთლიანება, რომ ეს იყოს ერთიანი სახელმწიფო და არა მოქიშპეთა დაპირისპირების ტერიტორია?

საკუთარი სამხედრო ძლიერებით თვითტკბობა მაშინ, როცა ვაცნობიერებთ, რომ ამ ძლიერებას ვუპირისპირებთ რუსეთის ინტერესებს, რომლის მიმართ სიყვარული ნამდვილად არა, მაგრამ კრძალვა ჩვენზე ძლიერ სახელმწიფოებს ნამდვილად ეტყობათ, ვფიქრობ, ზოგადად, რეგიონში სამშვიდობო მცდელობებს ართულებს და თანაც, ცოტა არასერიოზულადაც გამოვიყურებით.

როდესაც თავდაცვის სამინისტროს ფაქტობრივად ბუღალტერი ხელმძღვანელობს და არა სამოქალაქო პირი, როდესაც თავდაცვის სამინისტროს ფინანსური უზრუნველყოფა გამჭვირვალე არ არის და უამრავ ეჭვს ბადებს, როდესაც სახელმწიფოში უცნობია, ვინ, რატომ და რა მიზნით აიღო ნახევარმილიარდიანი სესხი და როგორ აპირებს გაჩანაგების პირას მისული ეკონომიკით ქვეყანა ამ სესხის გასტურებას, ამ დროს მშვიდობის პროგრამები და მშვიდობის შეთავაზების რიტორიკა ნაკლებად დამაჯერებელია.

ჩვენ არა მხოლოდ დიპლომატიურ მეთოდებს არ მივმართავთ, ზოგჯერ მარტივი არგუმენტაციის გამოყენებაც გვეზარება, რათა ზოგიერთ უცხოელ სკეპტიკოსს თვალი აეხილოს პრობლემებზე.

როდესაც რუსეთმა მშვიდობისმყოფელი ძალის ფუნქცია აიღო, მაშინ არც აფხაზეთში და არც ცხინვალის რეგიონში რუსეთის მოქალაქეების ჭაჭანება არ იყო. იქ თითქმის ასი პროცენტით საქართველოს მოქალაქეები ცხოვრობდნენ.

დღეს, როცა ერთ და მეორე სეპარატისტულ რეგიონში გაიძახიან, რომ მათი მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი რუსეთის მოქალაქეებისგან შედგება, ცხადია, რუსებს არა მხოლოდ მორალური, არამედ არანაირი იურიდიული უფლება აღარ აქვთ, საკუთარი მოსახლეობის პრიმატის პირობებში ვინმეს უფლებებზე ობიექტურად იზრუნონ. მათი ტრაბახი, რომ ვალდებული არიან საკუთარი მოქალაქეების უფლებების დაცვისთვის ყველაფერი იღონონ თუნდაც სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, საკმარისია იმისთვის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა საერთოდ შეწყვიტონ მანდატი ამ ქვეყნის ნებისმიერი შეიარაღებული ძალისა, როგორც მშვიდობისმყოფელისა.

მიველით იქ, სადაც მივედით... და ეს ყველაფერი ხდება უზომოდ გათავხედებული რუსული პოლიტიკის ფონზე, რომლის მზაკვრობის ხარისხის ასეთი დიდი ზრდა საერთაშორისო საზოგადოებრიობამ შესანიშნავად დაინახა.

კონფლიქტში ჩართული მეორე მხარისთვის სიურპრიზი და, ცხადია, მიუღებული იყო. ქართულ მხარეს იმ პერიოდში ერთობლივი მუშაობის არც ტექნიკა ჰქონდა და არც ამის სურვილი არ გამოუხატავს.

იხ. 5 გვ.

ინფორმაცია

## იზრდება ევროკავშირის როლი

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმება ევროკავშირის გადაწყვეტილებას აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში უფრო აქტიური მონაწილეობის შესახებ.**

**ამის თაობაზე ნათქვამია საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების განცხადებაში.**

**როგორც სამინისტრო აღნიშნავს, ევროკავშირის პოლიტიკისა და უშიშროების კომიტეტმა შეიმუშავა წინადადებები, რომლებიც უკავშირდება აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაში ევროკავშირის როლის გაზრდას.**

**ქართული მხარის შეფასებით, ევროკავშირის გადაწყვეტილება ეხმიანება იმ ტენდენციას, რომელიც მიზნად ისახავს აფხაზეთის რეგიონში რუსეთის დისკრედიტებული მონოპოლიის დასრულებას.**

**– არსებულმა სამშვიდობო ფორმატებმა, რომლებშიც რუსეთი დომინირებს, ვერ უზრუნველყო კონფლიქტის მოწესრიგების ორი უმთავრესი პრობლემის გადაწყვეტა: ასიათასობით იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილის უსაფრთხო, ღირსეული დაბრუნება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი აღდგენა, ეთნიკური აფხაზი მოსახლეობის კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, – აღნიშნულია განცხადებაში.**

**ქართული მხარე ხაზგასმით მიუთითებს, რომ 14 წლის განმავლობაში აფხაზეთის რეგიონში, რომელიც, ფაქტობრივად, რუსეთის მიერ კონტროლდება, 2 000-ზე მეტი მოქალაქე იყო მოკლული, ამასთანავე, ბოლო თვეების განმავლობაში თვალსაჩინო გახდა, რომ რუსეთის ფედერაცია კონფლიქტის მხარედ იქცა.**

**საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ახალ სამშვიდობო პროცესს საფუძვლად უნდა დაედოს მთავარი მადესტაბილიზებელი ფაქტორების აღმოფხვრა, კერძოდ, საქართველოში რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფნა და რუსეთის პრეზიდენტის 16 აპრილის ბრძანებულება.**

## ისრაელი იარაღს გვაწვდიდა?

**საქართველოს ოფიციალური სტრუქტურები უახლოეს ხანში გააკეთებენ კომენტარს რუსული სააგენტოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომლის მიხედვითაც, ისრაელის საგარეო პოლიტიკურმა უწყებამ საქართველოში საბრძოლო იარაღისა და უპილოტო საფრენი აპარატების ექსპორტს ვეტო დაადო.**

**რუსული სააგენტოები იარაღის მიწოდების შეწყვეტაზე ინფორმციას ისრაელის გაზეთ „მაარივზე“ დაყრდნობით ავრცელებენ.**

**გაზეთის ცნობით, ეს გადაწყვეტილება ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა რუსეთის მთავრობის ოფიციალური მიმართვის საფუძველზე მიიღო, რომელიც ისრაელის მხარეს აფხაზეთში უპილოტო საფრენი აპარატის ჩამოგდების შემდეგ გაეგზავნა.**

**ოფიციალური წერილი მოსკოვში ისრაელის სამხედრო ატაშეს მეშვეობით გადაიგზავნა. წერილში რუსეთი ისრაელს სთხოვდა, შეეწყვიტა საქართველოსთვის იარაღის მიწოდება, ისევე, როგორც თავად რუსეთი ისრაელის თხოვნით პერიოდულად უარს ამბობდა იმ გარიგებებზე, რომელიც იარაღის ექსპორტს შეეხებოდა.**

**გაზეთის ინფორმაციით, რუსეთის გაღიზიანების თავიდან აცილების მიზნით, ისრაელიდან იარაღის ექსპორტი საჯარო გაშუქების გარეშე ხორციელდებოდა და სააკაშვილის ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ისრაელი, უკრაინასთან ერთად, საქართველოს შეიარაღებული ძალების უმსხვილესი მიმწოდებელი გახდა.**

ინტერპრესნიუსი

**თვალსაზრისი**

# სუამი და საქართველოში კონფლიქტების გადაჭრის პრობლემები



**პაატა ზაქარეიშვილი,**

**განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრის ხელმძღვანელი (თბილისი, საქართველო)**

სუამის ჩამოყალიბების დასაწყისში მის მამოძრავებელ ძალად იქცა ევროპა-აზიის სატრანსპორტო კორიდორის შექმნისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის იდეა. იმის მიუხედავად, რომ სუამის ჩამოყალიბების ერთ-ერთი წინაპირობა იყო სამხედრო-პოლიტიკური პრობლემები, კონკრეტული ამგვარი საკითხები არ განხილულა. პირიქითაც კი – იალტის სამიტზე (2001 წლის 6-7 ივნისი) მხარეები გაიმიჯნენ ორგანიზაციის სამხედრო-პოლიტიკურ სტრუქტურად გადაქცევის პერსპექტივისაგან და განაცხადეს რუსეთთან და დსთ-სთან დაპირისპირების დაუშვებლობის შესახებ. თუმცა, როგორც ს.ი.პიროჟკოვი და ბ.ა. პარახონსკი აღნიშნავენ თავიანთ მოხსენებაში „რეგიონული თანამშრომლობის მოდელის ფორმირება სუუამის სისტემაში“, „აზერბაიჯანის, საქართველოსა და მოლდოვის თავდაცვის მინისტრების შეხვედრის დროს ბაქოში 1999 წლის იანვარში განიხილებოდა საკითხი ჯგუფის ქვეყნებს შორის შეთანხმების პროექტი საერთო სამშვიდობო ნაწილის შექმნის შესახებ მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის“. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ „დუნედ მიმდინარე“ სუამში იყო მცდელობა სამხედრო-პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნისკენ, მაგრამ ორგანიზაციის შემადგენლობის „სიჭრელემ“ საშუალება არ მისცა ამ ინიციატივის განხორციელებას. უფრო სწორად, ერთ-ერთი გადამწვეტი მიზეზი, რამაც აიძულა უზბეკეთი გამოსულიყო ამ სტრუქტურის შემადგენლობიდან, იყო სწორედ სამხედრო საბჭოს შექმნის იდეა. როგორც ისლამ კარიმოვის წერილშია ნათქვამი, ტაშკენტს ხელს არ აძლევს „ორგანიზაციის აქცენტები გაყინული კონფლიქტების გადაწყვეტაზე, ერთობლივი შეიარაღებული ბლოკების ფორმირებასა და უშიშროების არსებული სისტემების გადასინჯვაზე“.

საქართველოსა და უკრაინაში „ფერადი რევოლუციების“ შემდეგ სუამის საერთო სამხედრო ქვედანაყოფის შექმნის პროცესი გააქტიურდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში, მით უმეტეს უკრაინაში, უკვე დაგროვდა ერაყში, ავღანეთსა და კოსოვოში სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების დიდი გამოცდილება, ასეთი ბატალიონის შექმნა არ უნდა წარმოადგენდეს მათთვის სიძნელეს. 2007 წლის აგვისტოში თბილისში გაიმართა საქართველოს, უკრაინისა და აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროებისა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბების წარმომადგენელთა შეხვედრა. ამ ღონისძიებაზე უკვე გამოიკვეთა მომავალი საერთო სამხედრო ქვედანაყოფის კონტურები, რომლის შემადგენლობაში თითოეულმა ქვეყანამ უნდა გამოჰყოს გარკვეული სამხედრო კონტინგენტი. შეხვედრის მონაწილემ, უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი გრიცენკომ აღნიშნა, რომ „სუამის სამშვიდობო კონტინგენტი შექმნის შემთხვევაში შეასრულებს დავალებებს გაეროს ან ეუთოს მანდატის შესაბამისად“. 2007 წლის თებერვალში „სუამის დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის“ გენერალური მდივანი ვალერი ჩეჩელაშვილი აღნიშნავდა, რომ „ამ ეტაპზე მომზადების პროცესშია სუამის სახელმწიფოთა ხელშეკრულების პროექტი ერთობლივი სამშვიდობო სამხედრო და სამოქალაქო-პოლიტიკური სტრუქტურის შექმნის შესახებ. ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ შესაძლებელი გახდება მისი გამოყენება ჰუმანიტარულ და სამშვიდობო ოპერაციებში, რომლებიც ეწყობა საერთაშორისო ორგანიზაციების, სუამის ერთობლივი სამხედრო და პოლიციური ძალების ეგიდით“. ამ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა სუამის ბაქოს სამიტზე (2007 წლის 18-19 ივნისი). მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ სამშვიდობო ბატალიონის შემადგენლობაში შევა მექანიზებული ასეულები კავშირგაბმულობისა და მართვის უზრუნველყოფის ქვედანაყოფებით. როგორც უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი გრიცენკომ აღნიშნა, „სუამის სამშვიდობო ძალების პირად შემადგენლობაში იქნება დაახლოებით 530 კაცი“.

სამწუხაროდ, მიუხედავად მუდმივი საუბრებისა სუამის სამშვიდობო ძალების შესახებ, ეს ძალები ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ. ეს საკითხი სუამის ერთი სამიტის დღის წესრიგიდან გადადის მეორეში და ყველაფერი რჩება საუბრების დონეზე. ბაქოს სამიტის შემდეგ უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ აღნიშნა, რომ ზოგიერთი პარტნიორი მერყეობს სუამის ორგანიზაციის ფარგლებში ერთობლივი სამშვიდობო კონტინგენტის შექმნის საკითხთან დაკავშირებით. „არიან აგრეთვე პარტნიორები, რომლებიც, ვერ ვიტყოდი, რომ უარყოფენ, მაგრამ სხვაგვარად უყურებენ ამ პრობლემას“, – განაცხადა ვ. იუშჩენკომ, თუმცა კონკრეტული სახელმწიფო არ დაუსახელებია.ქართველი ექსპერტი სამხედრო საკითხებში კობა ლიკლიკაძე უფრო გულახდილია და მიუთითებს იმ ქვეყნებზე, რომლებიც ჯერ კიდევ ფიქრებში არიან: „ბოლომდე არ არის გასაგები მოლდოვის საკითხი. კონსტიტუციით მოლდოვა – ნეიტრალური ქვეყანაა. ჰოდა, ბოლომდე არ არის გარკვეული, როგორ მიიღებს იგი მონაწილეობას ამ შემთხვევაში სამშვიდობო ბატალიონის შექმნაში. რთული სიტუაცია აქვს აზერბაიჯანსაც. ილხამ ალიევი ორ ცეცხლშუაა. ერთი მხრივ,მას უნდა გააგრძელოს მამის დაწყებული საქმე, ვინაიდან სუამს შეიძლება ეწოდოს ჰეიდარ ალიევისა და ედუარდ შევარდნაძის პირმშო. მაგრამ, მეორე მხრივ, რუსეთთან ურთიერთობის წახდენაც არ უნდა“.

მიუხედავად იმისა, რომ სუამის სამშვიდობო ბატალიონი არსებობს მხოლოდ ქაღალდზე, რუსეთისა და საქართველოს სეპარატისტული რეგიონების რეაქცია მის ფორმირებაზე ერთმნიშვნელოვანად უარყოფითია. „მსგავსი „სამშვიდობო მომსახურება“ წინდაწინვე ანგაჟირებული გაერთიანების მხრიდან არ შეიძლებ ადეკვატურად იქნეს აღქმული მოწესრიგების პროცესის ყველა მხარის მიერ. ბუნებრივია, რუსეთი, რომელიც გამოდის არსებული კონფლიქტების მოწესრიგებისათვის მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით, მოძებნის ადეკვატურ ზომებს, რათა არ დაუშვას სიტუაციის განვითარება ამ სცენარით“, – განაცხადა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა. ადეკვატურ ზომებში ს.ივანოვი გულისხმობს, ალბათ, საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მიუღებელ პოზიციას, რომლებიც სამშვიდობო ფორმატის ნებისმიერი შეცვლის პრინციპულად წინააღმდეგები იქნებიან. საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, კონფლიქტის ყველა მხარის თანხმობისა და თხოვნის გარეშე შეუძლებელია შეიცვალოს ან შეთავსებული იქნეს სამშვიდობო კონტინგენტი. აფხაზური და ოსური მხარეები მუდმივად იმეორებენ, რომ რუსი სამშვიდოებოები „თავს ართმევენ“ მანდატებს და წინააღმდეგი არიან მათი შეცვლისა. „ჩვენი პოზიცია ერთია: საქართველოს ან საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნის მიუხედავად, აფხაზეთი თავისას გაიტანს, რათა რუსი სამშვიდობოები დარჩნენ აფხაზეთში“, – ეს სიტყვები აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დე ფაქტო პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშს ეკუთვნის. აი, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას აზრი: „ნებისმიერმა ჩარევამ ქართულ-აფხაზური მოწესრიგების ჩამოყალიბებულ ფორმატში შეიძლება გამოიწვიოს მოლაპარაკების მთელი პროცესის ჩაშლა. მოლაპარაკების პროცესის სიმყიფის გათვალისწინებით, ამან შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული პრობლემები... როგორც კი შეეცადა საქართველო, შეეცვალა სამშვიდობო ოპერაციის ფორმატი, ჩვენ შევედით ჩიხში, მოლაპარაკების პროცესი შეჩერდა“.




**_სამშვიდობო ძალების ფორმირების შესაძლებლობასთან ერთად, სუამის ქვეყნებს აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების გადაწყვეტაზე ზემოქმედების სხვა რესურსებიც – საქმიანობა საერთაშორისო დონეზე. ამ თვალსაზრისით, თუმცა ჯერ კიდევ ბოლომდე არარეალიზებულ, მაგრამ მაინც დადებით მაგალითად შეიძლება იქცეს გაეროს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიის დღის წესრიგში რეზოლუციის პროექტის – „სუამის ტერიტორიაზე გაჭიანურებული კონფლიქტებისა და მათი შედეგების შესახებ საერთაშორისო მშვიდობის, უშიშროებისა და განვითარების თვალსაზრისით“ – შეტანა_**

კატეგორიულ განცხადებებთან და მიუღებელ პოზიციებთან ერთად რუსეთს აქვს პროცესებზე ზემოქმედებისა და მათი მართვის სხვა ბერკეტებიც.მაგალითად, კიშინიოვში სუუამის სამიტის პარალელურად 2005 წლის აპრილში სოხუმში იმავე დღეებში გაიმართა სამი არაღიარებული რესპუბლიკის – აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის ლიდერების შეხვედრა. მანამდე კი რამდენიმე დღით ადრე, 21აპრილს, აფხაზეთში დაიწყო ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო მეცადინეობა ავიაციის, ტანკებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემების მონაწილეობით. ამის გათვალისწინებით, სუამის ქვეყნებმა არა მხოლოდ უნდა გააძლიერონ სამხედრო კომპონენტი, არამედ უნდა შექმნან რუსეთის ალტერნატიული უშიშროებისა და განვითარების სისტემა, რომელიც სეპარატისტული რეგიონებისათვის იქნებოდა რუსეთის პირობებისაგან განსხვავებული ან მათზე უკეთესი.

ერთ-ერთი სტრუქტურა, რომელიც იძლევა დსთ-ს სამშვიდობო ძალების მხარდაჭერის გარანტიას, არის ზემოთ ხსენებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოში მეთვალყურეობის მისია (გაეროს ყველა რეზოლუციასა და ანგარიშებში მოჩანს დადებითი დამოკიდებულება დსთ-ს სამშვიდობო ძალებისადმი). მაშასადამე, ამ ძალების სუამის ქვედანაყოფებით შეცვლის (ანდა შეთავსების) მცდელობის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინონ დამარწმუნებელი არგუმენტები იმისა, რომ სუამი უფრო ეფექტიანად შეასრულებს დავალებებს, ვიდრე მათ ასრულებენ დსთ-ს სამშვიდობო ძალები.

სამშვიდობო ძალების ფორმირების შესაძლებლობასთან ერთად, სუამის ქვეყნებს აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების გადაწყვეტაზე ზემოქმედების სხვა რესურსებიც – საქმიანობა საერთაშორისო დონეზე. ამ თვალსაზრისით, თუმცა ჯერ კიდევ ბოლომდე არარეალიზებულ, მაგრამ მაინც დადებით მაგალითად შეიძლება იქცეს გაეროს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიის დღის წესრიგში რეზოლუციის პროექტის – „სუამის ტერიტორიაზე გაჭიანურებული კონფლიქტებისა და მათი შედეგების შესახებ საერთაშორისო მშვიდობის, უშიშროებისა და განვითარების თვალსაზრისით“ – შეტანა. ამ რეზოლუციის მიღების შემთხვევაში სუამის ქვეყნებს შეეძლებათ ხარისხობრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანონ თავიანთი კონფლიქტების განხილვა. და მართალია, რუსეთი ასეთ მოქმედებას უწოდებს კონტრპროდუქციულს და მიიჩნევს მათ ამ კონფლიქტების მოწესრიგების არსებული მექანიზმების დემონტაჟის მცდელობად, ეს მოქმედება ხელს უწყობს კონფლიქტების მართვის ახალი,უფრო კონსტრუქციული და თანამედროვე მოდელების შექმნას. სამწუხაროდ, ეს პროექტი ჯერ ვერ გახდა რეზოლუცია, შესაბამისად, დღემდე მიდის აქტიური მუშაობა „გაყინულ“ კონფლიქტებთან დაკავშირებით გაეროს გენერალური ასამბლეის აღნიშნული რეზოლუციის მხარდაჭერის თვალსაზრისით. ასეთი აქტიურობა იგეგმება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში „გაყინულ“ კონფლიქტებთან დაკავშირებით რეზოლუციის მიღებასთან დაკავშირებითაც.

მაგრამ სუამის მონაწილე ქვეყნების გაერთიანებული აქტივობის ფონზე აზერბაიჯანმა როგორც გაეროში, ისე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ცალმხრივი წესით, გაეროს გენერალური ასამბლეის განსახილველად შეიტანა რეზოლუციის პროექტი – „ვითარება აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიაზე“ და მიაღწია კენჭისყრას. რამდენადაც აზერბაიჯანი არის სუამის წევრი და რეზოლუციის თემა შეესაბამება ალიანსის ყველა დანარჩენი წევრი ქვეყნის გაცხადებულ ინტერესებს, ჩნდება შეკითხვა – რატომ გახდა აზერბაიჯანი იძულებული მარტოდ მარტო ჩართულიყო ომში! იქნებ, გაეროს გენერალური ასამბლეის 61-ე სესიის დღის წესრიგში შეტანილი რეზოლუციის პროექტი „სუამის ტერიტორიაზე გაჭიანურებული კონფლიქტებისა და მათი შედეგების შესახებ“ ხდება არააქტუალური ან არარეალური? მაშინ უნდა გადაისინჯოს სუამის სტრატეგია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობასთან დაკავშირებით. აზერბაიჯანის გადაწყვეტილება, დამოუკიდებლად მიაღწიოს წარმატებას საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე, წარმოადგენს გამოწვევას სუამის მთელი პროექტის მიმართ და ეჭვქვეშ აყენებს კოლექტიურ ძალისხმევას საერთო მიზნების მიღწევისათვის.

სუამის ბათუმის სამიტის შესახებ, რომელიც ამას წინათ დასრულდა, შემდეგ ვისაუბრებთ.

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 140, 141, 143.**

◉ კითხული კაცის აზრი

# სოსო ცისკარიშვილი: „ორი წლის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ ვერ შეძლო ომის მოლოდინის მოჯადოებული წრიდან გამოსვლა“

(მესამე გვერდიდან)

ამაზე აპელირება საკმარისად არ ხდება, სამაგიეროდ, კიდევ ვიმეორებ, ამის პარალელურად არნახულად იზრდება ჩვენი სამხედრო ბიუჯეტი.

ჩვენი ხელისუფლების შეცდომების მიუხედავად, მის ასეთ არაკვალიფიციურ საერთაშორისო ურთიერთობებს ისევ და ისევ ამართლებს თავად რუსეთის როლი, ქცევა, რუსული ცნობიერება და საქართველოს მიერ რეალურად აღებული ფუნქცია — დასავლეთის ცივილიზაციას ერთხელ და სამუდამოდ ჩაუბეჭდოს ცნობიერებაში რუსეთის ნამდვილი სახე. ეს, შესაძლოა, ამართლებს კიდეც ჩვენი ხელისუფლების არცთუ უნარიან, მაგრამ სტრატეგიულად შორს გათვლილ პოლიტიკას.

**— როდესაც ვსაუბრობთ რუსეთზე, რომელიც ფაქტობრივად კონფლიქტების მიღმა მოიაზრება, გასათვალისწინებელია პუტინ-მედვედევის დაპირისპირება. პოლიტოლოგები ფიქრობენ, რომ კავკასიური თემა პუტინს ხელს აძლევს და როგორც უწინ მოვიდა კავკასიური სისხლით ხელისუფლებაში, ახლაც იგივე თამაშს ითამაშებსო...**

— უპაცრავად, მაგრამ ახლა, როცა ამ ინტერვიუს ვწერთ, რუსეთის ყველაზე პოპულარული ტელეარხით — ენ-ტე-ვე-თი, რომელიც გაზპრომის საკუთრებაა, ბუმბერაზი რუსი მწერლის ალექსანდრ სოლჟენიცინის გარდაცვალების გამო სამძიმრის დეპეშებს კითხულობენ. ჯერ წაიკითხეს პუტინის, შემდეგ მედვედევის დეპეშა. კომენტარი ზედმეტია, ვინ არის პირველი და ვინ — მეორე, რუსეთის ხელისუფლებას გათვლილი აქვს. ცხადზე ცხადია, ქვეყანას ვინ ხელმძღვანელობს. სამომავლო პროგნოზის გათვლა მარტივი არ არის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, დღეს გადაწყვეტილებას არც მედვედევი და არც ლავროვი არ იღებენ. ამას აკეთებენ უშიშროების ფედერალური სამსახური და რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველო. სამხედრო კომპლექსი და რუსეთის უკვდავი КГБ განაგებენ არა მარტო რუსეთის და კავკასიის ბედს, არამედ უფრო შორეულ ტერიტორიებსაც, და ასე მშვიდობიანად, უვარდებოდ უკვე თავიდან ახდენენ კუბის ოკუპაციას. ეს პრობლემა ჯერ კიდევ წინ არის.

ამიტომ გეტყვით, რომ დედამიწა რონალდ რეიგან მეორის მოლოდინშია.

**— და ეს დასავლეთმა გააცნობიერა?**

— დიახ, არსებობს სერიოზული მოთხოვნილება, რომ დედამიწაზე წარმოჩინდეს რონალდ რეიგან მეორე. ამ ადამიანმა ბოლო მოუღო ბოროტების იმპერიას, მაგრამ ვერ შეძლო მისი ნამცეცების ლიკვიდაცია. მათ აღდგენის უნარი გამოავლინეს და ბოროტების იმპერიის სულიერი და სამართლებრივი მემკვიდრე რუსული იმპერიის სახით აღსდგა.

რონალდ რეიგან მეორის მოლოდინში, საქართველო, ერთ-ერთი უპირველესთაგანი, თვალებს მიაპყრობს ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებს. ჯერჯერობით მაკკეინის რიტორიკაში უფრო ვცნობ რეიგანს, თუმცა, ობამას პრინციპულობაც იმის მიმანიშნებელია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ბოროტების იმპერიის აღდგენის მცდელობა ამერიკის შეერთებული შტატების შეუნიშნავი და ურეაგირებოდ არ დარჩება. ასეთ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლების და მთლიანად ჩვენი სახელმწიფოს უპირველესი ვალია, ბუმბერაზთა ჭიდილში მაინც და მაინც საშროების როლში არ აღმოჩნდეს და ორივე მხრიდან სისხლის შეშროების ფუნქცია საკუთარ თავზე არ აიღოს.

აქ არის სწორედ საჭირო გონიერება, დიპლომატია, გააზრებული ნაბიჯები და არავითარი სიყალბე, რომლის მიმართ მიდრეკილებასაც ჩვენი ხელისუფლება ამჟღავნებს.

**— დაგვიკონკრეტეთ, რას გულისხმობთ?**

— ხელისუფლებამ რატომღაც ჩათვალა, რომ უკანასკნელ დღეებში საჭირო აღარ არის საინფორმაციო ბრძოლა. ჩვენი ტელევიზია — სახელმწიფო თუ ხელისუფლების პირადი ტელევიზია კომენტარისთვისაც ველარ პოულობს თანამდებობის ვერც ერთ პირს, ტურისტული ვიზიტებით მოსიარულე სახელმწიფო მინისტრის გარდა, რომელსაც, ეტყობა, საკმარისი უფლებამოსილებაც არა აქვს იმისთვის, რომ საკუთარ მსჯელობაში უფრო თავდაჯერებული იყოს. და ეს ტელევიზიები იძულებული არიან, რუსული ტელევიზიის მასალები გადმოსცენ, სადაც მხოლოდ ოსური, აფხაზური და რუსული წყაროები საუბრობენ.

უფრო მეტიც, ევრონიუსის უკანასკნელი ინფორმაციები მხოლოდ რუსულ წყაროებს ეყრდნობა. როგორც ჩანს, მათაც უჭირთ იქ ინფორმაციის მოპოვება.

ასეთ ვითარებაში, ულტიმატუმებით, ზეწოლით ძმედება ნამდვილად ნაკლებ შედეგს მოიტანს, კოკოითს და ბაღაფშს ჩვენ არ უნდა ვეჯიბრებოდეთ უზრდელობაში.

მხოლოდ გონიერებით შევძლებთ საქართველოს დიდების აღდგენას და ამისთვის, მერწმუნეთ, სულაც არ არის საჭირო, ვილაპარაკოთ ერთი და ვაკეთოთ მეორე. ყველანი ერთად შევეცადოთ, რომ მშვიდობიანად მივაღწიოთ მიზანს, რადგან არავის არ სჭირდება დამონებული აფხაზეთი. აფხაზეთი საქართველოს სრულუფლებიანი ნაწილი უნდა იყოს გალაღებულ აფხაზ ერთან ერთად.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ ინფორმაცია

## „თბილისი“ ქუთაისს ამახინჯებს

**ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის დროს ადგილობრივი არქიტექტორების აზრს არ იზიარებენ.**

**ამის შესახებ ქუთაისში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე არასამთავრობო ორგანიზაციის, „ახალგაზრდა სამეცნიერო ცენტრის“ ხელმძღვანელმა ზაზა ხელაძემ განაცხადა.**

**მისივე თქმით, სამშენებლო კომპანია „თბილისი“ თავს სასაცილო მდგომარეობაში იგდებს, რადგან თითო ქუჩას 5-ჯერ ან სულ მცირე 3-ჯერ მაინც თხრის.**

**ქუთაისელი არქიტექტორის ბადრი მელქაძის განცხადებით კი, იმის გამო, რომ მშენებლობა გენერალური გეგმის გარეშე მიმდინარეობს, ხანდახან ისეთი სამუშაოები სრულდება, რაც უკვე გაკეთებულია.**

**მელქაძემ მაგალითად წერეთლის ქუჩა დაასახელა. მისი ინფორმაციით, ქუჩა სანიაღვრეების გამო გადათხარეს, თუმცა აღმოჩნდა, რომ სანიაღვრეები არსებობდა, უბრალოდ, მას გაწმენდა ესაჭიროება.**

**ბრალდებებზე კომენტარს არ აკეთებენ სამშენებლო კომპანია „თბილისის“ წარმომადგენლები. ისინი წელს ქალაქის რეაბილიტაციის პირველ ეტაპს დაასრულებენ.**

ინტერპრესნიუსი

◉ მკვახე შეძახილი

# უძალო ქვეყანაში მილიონებს აფრიალებენ



**„საქართველოს რესპუბლიკა“ დროულად და შესაფერისი, „დამსახურებული“ სიმწვავით გამოეხმაურა სახელმწიფოს მეთაურის მოულოდნელ, არცთუ წინდახედულ გადაწყვეტილებას პეკინის ოლიმპიადაზე გამარჯვებულ ქართველთა თითო მილიონი ლარით (!) პრემირების თაობაზე.**

ეს ამბავი „გადახარშული“ არ გვქონდა, რომ გულუხვობასა თუ ფულუხვობაში არც მერია ჩამორჩა პრეზიდენტს და იურმალაში „ახალი ტალღის“ ფესტივალზე მართლაც სასახელოდ გამარჯვებულ ახალგაზრდა ქალ-ვაჟს მარიამსა და რატის თითო ავტომობილი უსაჩუქრა.

სულ ახლახან კი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებს მორიგი უცხოელი, ამჯერად არგენტინელი სპეციალისტი ჩამოუყვანეს უფროს მწვრთნელად და ხელფასი რამდენი დაუნიშნეს, გვიმალავენ — ეტყობა, სახელშეკრულებო თანხა იმოდენაა, რომ გამოცხადებისა „რცხვენიათ“. ისე, ტოპ-მიულერმა ხომ გაამართლა შეტენილი ათასები თუ მილიონები...

იმედი მაქვს, ჩემზე არავინ არ იფიქრებს, თითქოს პეკინში ქართველთა ჩემპიონობა არ გამეხარდება ან იმათი მილიონები შემშურდება, ან ჩვენი მომღერლების იურმალური ტრიუმფი არ მეამაყება და იმათი ავტომანქანები მბოლმავს, ან ფეხბურთელთა ნაკრების მომძლავრება არ მეოცნებება. ღმერთმა ჩვენს სპორტსმენებს ოლიმპიადაზე მოუმართოს ყველაფერი, რაც გამარჯვებას სჭირდება, მარიამსა და რატის საჭე, ხელი და ყელი მოუმართოთ, ნაკრების ფეხბურთელებს კი — ფეხები და თავები!

ასეთ სტრიქონებს იმის ღრმა რწმენა მაწერინებს, რომ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაში ამგვარი სახელმწიფოებრივი ფუფუნების ნება ხელისუფალთ არა აქვთ და მწარეზე მწარე რეალობის გათვალისწინებითა და სალი აზრის შესაბამისად უნდა ირჯებოდნენ.

აფუთფუთებული და თუ გნებავთ, აჯანყებულ-ამბოხებული სალი აზრი კი მიკარნახებს: სიღარიბის ზღვარს მიღმა ამდენი ადამიანის ყოფნა რო არა, ამდენი მათხოვარი რო არა, ამდენი უმუშევარი რო არა, მომუშავეთაგან ამდენი ხელფასაუღებელი რო არა, ამდენ ქალაქსა და კიდევ მეტ სოფელში უწყლობა რო არა, ბევრზე ბევრგან უგზოობა რო არა, უცხოეთში გადახვეწილი ამდენი მოქალაქე რო არა, საკუთარ სამშობლოში ამდენი დევნილი რო არა, ქუჩაში ბრიყვულად გამოყრილი ამდენი მედიელი რო არა, ჯერჯერობით უიმედოდ დაკარგული მხარეები რო არა და კიდევ მრავალი რამ რო არა, კიდევ ჰო, მარა ესენი როა?..

განა ახლა კი დროა, მილიონები რომ ვაფრიალოთ და ავტომობილები გამოვაგოროთ? ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმის გასარემონტებლად ვერ გამოინახა სახსრები — ნუ მოგეჩვენებათ ეს მოულოდნელ რაკურსად — და ჩემპიონთა საპრემიოდ და საზღვარგარეთელ მწვრთნელთა ასანაზღაურებლად მილიონები მოგვეძევება? ვისაა, თვალებში რომ ნაცარს ვაყრით, ვემარიაჟებით და ვეპიარებით — ამერიკელ და ევროპელ მეგობრებს — ბუშს, რაისს, ბრაიზას, იუშჩენკოს? აშშ-სავით მდიდარი ქვეყანა რომ თავის ოლიმპიელ ჩემპიონებს მხოლოდ 20 ათას დოლარს აღუთქვამს, ჩვენ რა გვემილიონება? იმ პოტენციური მილიონებიდან რამდენის გამონთავისუფლება შეიძლებოდა უსახლკაროთათვის, ღატაკთათვის, უპოვართათვის, თუ უფრო მოკრძალებულ პრემიას დაჰპირდებოდნენ მომავალ ჩემპიონებს — ამაზე დაფიქრდნენ? მაგრამ მაშინ ხომ საპრეზიდენტო პიარი აღარ იქნებოდა!

ნუთუ არა კმარა, რომ ასეთ ქვეყანაში, იმ ფონზე, რაც ზემოთ „დაიხატა“, ხელისუფალნი თავს მაღალზე მაღალი ხელფასებისა და პენსიების აღებისა და საერთოდ, მდიდრული ცხოვრების უფლებას აძლევენ, კიდევ დამატებით რომ არ წიწკნონ ბიუჯეტი? მერიას რომ ავტოტრანსპორტი, ჯვარი აქაურობას, ხანძრების ჩასაქრობად და სასწრაფოდ დასახმარებლად არა ჰყოფნის — ამნაირად გასაჩუქებელი აქვს? ყველა საქალაქო საქმე უკვე მოაგვარა?

ნუთუ არა კმარა, რომ ბატონმა პრეზიდენტმა მილიონები, დოლარები თუ ლარები, საპრეზიდენტო „ბოინგისა“ და ვერტმფრენის შეძენას, ნაირ-ნაირი რეზიდენციის შენებას მოახმარა? ეგებ საქართველო სხვაგვარი მოჩანს მრავალრიცხოვანი დაცვის შუაგულიდან, ცაში — მრავალმილიონიანი „ბოინგიდან“, მიწაზე — კიდევ მეტი მრავალმილიონდოლარიანი ავლაბრის, ბობოყვათის, სიღნაღის, ბორჯომის და ეგებ სხვა რეზიდენციებიდანაც? ჩემთვის და, მჯერა, ბევრზე ბევრისთვის კი ისეთი მოჩანს, როგორ ზემოთ „წარმოვადგინე“, რომ არ მჯეროდეს, ასეთ წერილს არც დავწერდი.

**...სანამ ამ დღეში ვართ და ასეთ დღეში ვართ, გონივრულად ვმართოთ ქვეყანა, ყური მივაპყროთ სალ აზრს, ვისწავლოთ ეკონომიკურად, დაზოგვით ცხოვრება, შევეშვათ ფართო, მეფურ ჟესტებს და შევეცადოთ მოკრძალებულობის, მორიდებულობის პირადი მაგალითების ჩვენებას. „ტროოლა მაღლა ღრუბლებში“ პიარ-პიარით როდი გალობდა... პიარ-პიარით ტურფად არც ერთი ქვეყანა არ აყვავებულა...**

**თამაზ ებანოიძე**
3 აგვისტო, შემოღამება,
ქალაქი ხაშური

◎ ვინ ვინ არის საქართველოს სამშენებლო ბაზარზე?

# ლიბოძლიერი




ბიზნეს-ინიციატივების დირექციის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტი ხოსე პიეტრო (მარცხნივ) ოქროს ვარსკვლავით აჯილდოებს იოსებ კირცხალიას


ლიბო

ესრჩევენვარჩთ

„დეველოპერული კომპანია ლიბო"

სამშენებლო კომპანია – „ლიბო+"

საპროექტო სტუდია – „ზერო"

ელ. ფოსტა:
ikirtskhalia@liboplus.ge


**ბოლო ხანს ჩვენს მეტყველებაში ასე დამკვიდრებული საერთაშორისო ტერმინი დეველოპერი, დეველოპმენტი (დეველოპერული), ქართულად განმავითარებელს, ამღორძინებელს, უბრალოდ, – კარგად მშენებელს, კარგის შემქმნელს ნიშნავს.**

**ნუღარ ვიკამათებთ იმაზე, რომ თუ ასეთი რიგიან-ძარღვიანი შესატყვისები გვაქვს ქართულ ენაში, რისი მაქნისი იყო კიდევ ერთი ინგლისური წარმოშობის სიტყვა? – უბრალოდ, მოდას აყოლილი, უცხოურს დახარბებული ხალხი ვართ, თორემ არც აქამომდე არსებულა და არც მომავალში იარსებებს მოვლენა, ფაქტი თუ ტერმინი, რომელიც სრულყოფილად არა გამოითქვას რა ქართულითა ენითა... თანაც, ჩვენ ვისზე ნაკლები ვართ, რომ სიახლეებს მხარი არ ავუბათ და ენის ლექსიკა არ „გავიმდიდროთ".**

ერთი სიტყვით, მშვენივრად შევეჩვიეთ დეველოპერულ კომპანიებს და მათ ორიგინალური, ზოგჯერ სასიამოვნოდ ამბიციური სახელები („ლიბო ჯგუფი", „არსი", „იბერია", „აქსისი", „სასკო", „კალასი", „მაგი-სტილი", „კიდ-არქიტექტურა", „ტექს ჯგუფი", „ცენტრ-პოინტი" და ა.შ.ძ, თბილისსა და მთელ საქართველოში სამშენებლო ბიზნესის, დღეს ასე დაწინაურებული სამშენებლო ბაზრის სიმბოლოდ აღიქმება.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ზოგიერთ დეველოპერულ კომპანიას საფუძვლიანი წარმატებები დაუგროვდა. მაგრამ, არიან ისეთებიც, რომლებსაც რეიტინგი გაუფუჭდათ და ცრუ დაპირებებით ავსებენ სატელევიზიო, საგაზეთო-საჟურნალო თუ რადიო სარეკლამო სივრცეს. ზოგიერთმა სხვისი სახელის მითვისებაც განიზრახა, თუმცა ამის შესახებ ცოტა ქვემოთ...

რას იზამთ, საბაზრო ეკონომიკაა და ჩვენნაირ „განვითარებად", ჩამორჩენილ, ღირსებადაქვეითებულ ქვეყანაში მიზნის მისაღწევად თურმე ყველაფერი დასაშვებია!

**მაინც, ვინ ვინ არის საქართველოს სამშენებლო ბაზარზე? ვის რა პრიორიტეტი აქვს და როგორი ხვალინდელი დღე მოელის?**

დღეს გაგაცნობთ ზემოთ ჩამოთვლილთაგან ყველაზე „თავმდაბალ", საკუთარ მომხმარებელთან, შემკვეთებთან (თუ დამკვეთებთანძ პირნათელ, მშენებლობის ხარისხითა და ინდივიდუალობით გამორჩეულ კომპანიას, რომელსაც „ლიბო ჯგუფი" ჰქვია.

## პირდაპირ საქმით დავიწყოთ

თავდაპირველად იყო „ლიბო+", რომელიც 1995 წელს შეიქმნა ყოფილი მშენებლობის სამინისტროს მე-13 ტრესტის მეხუთე სამმართველოს ბაზაზე. პრინციპულად უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო დაპირისპირებით დაქიაქებულ მაშინდელ საქართველოში ერთობ ძნელი იყო დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის წამოწყება. მეხუთე სამშენებლო სამმართველოს ყოფილმა თავკაცმა, გამოცდილმა და დამსახურებულმა მშენებელმა, საქართველოს და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების წევრ-კორესპონდენტმა იოსებ კირცხალიამ საკუთარი 100-პროცენტიანი წილით დააფუძნა შპს „ლიბო+" და კანონის სრული დაცვით საქპატენტში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი მიიღო.

2007 წლის დეკემბრიდან კომპანიაში დანერგილია ხარისხის მართვის სისტემა ISO 9001:200 სტანდარტით. კომპანიას მინიჭებული აქვს უფლება გამოიყენოს „ქართული ხარისხის ნიშანი", ასევე 2008 წლის 21 აპრილს, ქ.პარიზში, ბიზნესის ინიციატივების საერთაშორისო ცენტრმა BID. კომპანია „ლიბო+სს" მიანიჭა ოქროს ვარსკვლავი, როგორც ლიდერ კომპანიას ხარისხის (TQM QC 100 სისტემითძ მართვაში.

**ბიზნეს-ინიციატივების დირექციის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტის, ბატონ ხოსე პიეტროს ინიციატივით, ბატონი იოსებ კირცხალია აირჩიეს ოქროს ვარსკვლავის პრიზის მიმნიჭებელი საერთაშორისო კომისიის საპატიო წევრად.**

* * *

პროფესიონალმა მშენებელმა იმთავითვე კვალიფიციურ თანამოაზრეთა ჯგუფი შემოიკრიბა და ორიენტაცია მხოლოდ ხარისხზე, დაკვეთების შესრულების მაღალ კულტურაზე აიღო.

დღეს „ლიბო+" კომპანია „ლიბო ჯგუფის" ერთ-ერთი შემადგენელი სტრუქტურაა. ჯგუფი აერთიანებს „დეველოპერულ კომპანია ლიბოს", საპროექტო კომპანია „ზეროს", უძრავი ქონების გაყიდვების სამსახურს –„ლიბო რეალიტს" და სხვა.

საპროექტო სტუდია „ზერო" გამოირჩევა ნატიფი არქიტექტურული გემოვნებით. ერთ-ერთი ლამაზი და თვითმყოფადი პროექტია ექსკლუზიური საცხოვრებელი სახლი „საბუდარა" ზემო ვერაზე **(არქიტექტორი ლევან ლომიძე).** ამ სტუდიაში დამუშავდა აგრეთვე საცხოვრებელი კომპლექსი „კრწანისი-პალასი", ოთხბინიანი საცხოვრებელი სახლი „ვილა კეკელიძე" **(ავტორი იოსებ ალავიძე),** „ლიბო ჯგუფის" ახალი ოფისის პროექტი მაზნიაშვილის ქუჩაზე... ამ მიმართულებას ჯგუფში ხელმძღვანელობენ გამოცდილი სპეციალისტები, ინჟინერ-მშენებელი **კონსტანტინე შენგელია** და არქიტექტორი **სოსო ჩხეიძე.**

**„ლიბო ჯგუფის" წევრები საკუთარ თავზე იღებენ იმ მორალურ და პროფესიულ პასუხისმგებლობას, რასაც ფართო გაგებით თავის თავში გულისხმობს ბრენდი „ლიბო" და ასრულებენ ისეთ ექსკლუზიურ პროექტებს, რომლებიც ხშირად ჩვენი დედაქალაქის და სხვა დაბა-ქალაქების იერ-სახეს განსაზღვრავენ.**

ასე შეიქმნა ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოს ორიგინალური ნაგებობა თბილისში, ქართულ-ჩეხური ერთობლივი ფარმაცევტული ქარხანა „ლეჩევა-გეო", ბანკ „რესპუბლიკის" რამდენიმე სერვის-ცენტრი, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ლილოს სასწავლო ცენტრი – ევროკომისიის წარმომადგენლობის დაკვეთით, საცხოვრებელი კომპლექსი „კრწანისი-პალასი", თბილისის № 98 საჯარო სკოლა, „თბილავიამშენის" ადმინისტრაციული კორპუსი (სარეკონსტრუქციო სამუშაოებიძ, საკულტო ნაგებობები და მრავალი სხვა.

„ლიბო ჯგუფში" შემავალი ფირმების უკვე შესრულებული და მომავალში შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა იმდენად შთამბეჭდავია, უმალ გაოცდები კაცი, – ამ დეველოპერულ კომპანიას სათანადოდ, დიდი დამსახურების ტოლსწორად რატომ არ იცნობს მთელი საქართველო?

ვინც საკუთარი თვალით იხილავს „ლიბო ჯგუფის" ნაშრომნაამაგარს, ადვილად დარწმუნდება, რომ სხვა, ბაქიბუქა კომპანიებთან შედარებით, ისინი ცოტას ლაპარაკობენ, შედარებით მოკრძალებულ რეკლამას იკეთებენ და ბევრს მუშაობენ.

მოდით, კომპანიის მშენებელთა ამ უცნაურ ხელწერაზე თვით „ლიბო ჯგუფის" შემქმნელს ბატონ იოსებ კირცხალიას გავესაუბროთ.

## ხარისხი მუდამ გადამწყვეტი იქნება!

– თქვენი გაოცება „ლიბო ჯგუფის" სარეკლამო კამპანიის სიმცირის გამო იმან გამოიწვია, რომ ჩვენ მხოლოდ ხარისხზე ორიენტირებული მშენებლები ვართ და რაოდენობას არასოდეს გავცვლით დიდი შრომით და რუდუნებით მოპოვებულ სახელზე, – ბოლო ორი წლის განმავლობაში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია „ლიბო ჯგუფის" დეველოპმენტის მიმართულებამ. ეს სტრუქტურა ამზადებს ახალ პროექტებს, უბნების განაშენიანების გეგმებს, სწავლობს სამშენებლო რეგიონს. ჩვენი პროექტები ქმნიან რაციონალურ და კომფორტულ გარემოს, როგორც საცხოვრებელ სახლსა თუ ბინაში, ისე უბანსა და მთელ მიკრორაიონში...

**– კონკრეტულ მაგალითს ხომ ვერ დაგვისახელებდით?**

– სიამოვნებით. ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად შეიძლება ჩაითვალოს ე.წ. „შავი სოფლის" განაშენიანების გეგმა ავლაბარში დეველოპერულ კომპანიებთან – „არსსთან" და „სასკოსთან" ერთად. სწორედ „ლიბო" და ბატონი დავით ჭიჭინაძე იყვნენ მთავარი ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები იმ უპრეცედენტო ნაბიჯებისა, რომლებმაც სამი კომპანია ერთი კეთილშობილური მიზნით გააერთიანა. ეს არ არის მხოლოდ კომერციაზე, მოგებაზე დაფუძნებული პროექტი. ჩვენთვის მთავარია ქალაქის ამ ძველი, კოლორიტული უბნის განახლება-გამშვენიერება. დარწმუნებული ვარ, ავლაბარი მალე განსაკუთრებულ ხიბლს, ორიგინალობას და თვითმყოფადობას შეიძენს.

**– ამ ცოტა ხნის წინათ ავლაბრის უბნის განახლებით უცხოელი ინვესტორებიც იყვნენ დაინტერესებულნი. დღეს როგორ მიდის საქმე, უცხო კაპიტალს არ გამოიყენებთ?**

– აუცილებლად გამოვიყენებთ. ამ მეტად საინტერესო და წარმა-



საცხოვრებელი კომპლექსი „კრწანისი-პალასი"



სასტუმრო ავლაბარში, მეტეხის პლატოზე

# „ლიბო ჯგუფი“

ტებულ პროექტს ახორციელებენ ცნობილი ქართველი და ევროპელი არქიტექტორები, ინჟინრები და სხვა სპეციალისტები. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამ მიმართულების ხელმძღვანელია ბატონი **დავით ჭიჭინაძე...** იმედია, ჩვენი დეველოპერული კომპანია „ლიბო“ ისეთივე წარმატებული და უძლეველი იქნება, როგორც მათ მიერ დასპონსორებული საქართველოს რაგბისტთა ეროვნული ნაკრები.

**— ბატონო იოსებ, კერძო კაპიტალი ზოგჯერ მაინც „აგრესიულია“, ადგილობრივი მოსახლეობაც ხშირად თვითნებობს, აქამდე კულტურული მემკვიდრეობის უგულებელყოფის ფაქტებიც საკმაოდ ხშირად იყო. როგორ აპირებთ მშენებლობის ამ გლობალური პრობლემების გადაჭრას?**

— ყველა კომპანიამ საკუთარი წილი პასუხისმგებლობა უნდა იკისროს სახელმწიფოს, თითოეული დამკვეთის წინაშე. ფულს და მოგებას კი არ უნდა გამოედევნოს, არამედ ხალხის, ქვეყნის ინტერესებს მისცეს პრიორიტეტი. მე ერთი წუთითაც არ მავიწყდება, რომ „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“. რაც უფრო კარგად და ნამუსიანად ააშენებ, შემკვეთი მით უფრო დაგიფასებს ამაგს. მაშინ, კერძო კაპიტალი აგრესიული კი არა, ჭრილობაზე დადებული მალამოსავით იქნება, მოსახლეობაც ახალ, ჯანსაღ ბინებში შესახლდება და კულტურული მემკვიდრეობის უგულებელყოფასაც ვერავინ გაბედავს.

* * *

— „ლიბო ჯგუფის“ საქმიანობის ძირითად ქვაკუთხედს, — აგრძელებს საუბარს ბატონი იოსებ კირცხალია, — მშენებლობა წარმოადგენს, რომელსაც რამდენიმე დამოუკიდებელი სტრუქტურა ახორციელებს. ლიდერი აქაც სამშენებლო კომპანია „ლიბო+“ია. თქვენი გაზეთის მკითხველმა მინდა იცოდეს, რომ მშენებლობის მიმართულებას წარმატებით ხელმძღვანელობენ ცნობილი ინჟინრები **დავით სანიკიძე, დავით ფერაძე, გიორგი საამიშვილი, დიმიტრი დევიძე, დავით ჯაბუა, სერგო მაქაცარია...** ვიმეორებ, ჯგუფში განსაკუთრებული როლი ენიჭება ხარისხის მართვას, რისთვისაც შევქმენით სპეციალური დამოუკიდებელი სტრუქტურები. ბუნებრივია, ამ სტრუქტურებშიც ცნობილი მეცნიერები და სპეციალისტები მოღვაწეობენ... ასე რომ, დღეს ასე დამამცირებელი საუბარი მშენებლობის უხარისხობის შესახებ, „ლიბო ჯგუფში“ გაერთიანებულ მშენებლებს ნამდვილად არ ეხებათ. როგორც იტყვიან, — ჩვენს მომხმარებელს, ჩვენს შემკვეთებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ!

## აი, უსამართლო სამართალი!

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, რა თქმა უნდა, არასასიამოვნო მოულოდნელობა იყო საქართველოს სამშენებლო ბაზარზე სხვა „ლიბოს“ გამოჩენა, რომელიც სარგებლობს უკვე ფუძემაგარი და აღიარებული „ლიბო+“-ის მიერ წლების განმავლობაში მოპოვებული ავტორიტეტითა და რეპუტაციით.

იმის გამო, რომ ბატონი იოსებ კირცხალიას კომპანიის სახელს სავაჭრო ნიშნად იყენებს სხვა, შედარებით ახალი კომპანია, საქართველოს საერთო სასამართლოში იხილება დავა შპს „ლიბო+“ სარჩელისა გამო, — **სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებით.** ბატონ იოსებ კირცხალიას ხომ საქპატენტში თავის სახელზე აქვს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „ლიბო+“. ამდენად კანონი მას განსაკუთრებულ უფლებას ანიჭებს, აუკრძალოს სხვა პირებს, მასთან შეუთანხმებლად გამოიყენოს ისეთი სავაჭრო ნიშანი, რომელიც „ლიბო+“ იდენტური იქნება. არადა, მსგავსება ზემოთ მითითებული ორი კომპანიის სახელს შორის იმდენად აშკარაა, რომ სირცხვილით უნდა იწვოდეს „ლიბოს“ ცრუ სახელმდებელი. **მაინც, რა არის ეს — აშკარა პლაგიატობა თუ ელემენტარული საავტორო უფლებების დარღვევა?**

**„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონი კრძალავს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის არა მხოლოდ იდენტური, არამედ მსგავსი ნიშნის გამოყენებასაც კი.**

მკითხველს დავუზუსტებთ, რომ თუ ვინმეს მშენებლობასთან დაკავშირებით „ლიბო“ ჰქვია, ეს არის მხოლოდ „ლიბო ჯგუფი“ და მასთან დაკავშირებული სტრუქტურები.

ნერვული სტრესებით სავსე ეპოქაში ნორმალური სამშენებლო კომპანიის, სანდო კომპანიის ძიებაში ჩაბმული მომხმარებელი სარეკლამო ბაზარზე (ტელევიზიით, პრესით) პოულობს ერთს, მიდის — მეორეში!...

**ყოველივე ეს მომხმარებლის, შემკვეთის გაორებას (გაოცებასაც!) იწვევს: რა, სხვა სახელი არ იყო?! ორი კომპანიის სახელებს შორის მსგავსების გამო, შეცდომაში შეყვანილი „ლიბო ჯგუფის“ პოტენციური მყიდველი ხშირად შეცდომით მიმართავს ცრუ „ლიბოს“, რის გამოც სახელოვანი, ძველი კომპანია კარგავს მატერიალური შემოსავლების ზრდის საშუალებას.**

შპს „ლიბო+მა“ სასარჩელო განცხადებით კი მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შპს „ლიბოს“ აეკრძალოს სხვისი სახელის სავაჭრო ნიშნად გამოყენების უფლება, მაგრამ... თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ დაუსაბუთებელი განჩინება გამოიტანა და არ დააკმაყოფილა მოსარჩელის საჩივარი!

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ახალი კომპანიაც შრომობს, წვალობს, ანგარიშვალდებულია საკუთარი მომხმარებლის (მყიდველის) წინაშე, მაგრამ... ძველმა კომპანიამ რა დააშავა, მისი უკვე მყარი, წლობით განმტკიცებული სახელი სხვამ რატომ უნდა მიითვისოს.

**— თუკი სასამართლო არ დააკმაყოფილებს მოსარჩელის მოთხოვნას, მისი გადაწყვეტილება იმის საუკეთესო მაგალითი იქნება, რომ სასამართლომ დაუშვა პრეცედენტი, როცა განსაკუთრებული უფლების მქონე პირს არ ექნება საკუთარი სასაქონლო ნიშნის ელემენტარული დაცვის საშუალება, ეს კი, ხვალაც და ზეგაც შესაძლებელს გახდის იმავე ან მსგავსი სახელწოდებით დარეგისტრირდეს კიდევ ერთი (ან რამდენიმე) ახალი ფირმა, რომელიც იდენტურ საქმიანობას განახორციელებს და საკუთარ „მოღვაწეობას“ იმით გაამართლებს, რომ მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად არის რეგისტრირებული და თავის სახელს იყენებს ჩვეულებრივ სამოქალაქო ბრუნვაში! — ამბობს „ლიბო+“-ის ინტერესების დამცველი ადვოკატი დიმიტრი გაბუნია.**

**ეეჰ, მართლაცდა, უპრინციპო ქართულო სასამართლოვ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა“...**

**რა არის ეს — აშკარა უსამართლობა თუ გაუგებარი ჰუმანურობა სხვა ფირმის დაჩაგვრის ხარჯზე?**

* * *

ექვგარეშეა, „ლიბო+“ გამოიყენებს ყველა სამართლებრივ საშუალებას იმისთვის, რომ არ დაუშვას მსგავსი პრეცედენტი და დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული განსაკუთრებული უფლება — ბოლომდე გამოიყენოს (მხოლოდ მან გამოიყენოს) რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი და ამავე დროს კატეგორიულად აუკრძალოს სხვა პირებს მასთან შეუთანხმებლად, კანონის ყველა მოთხოვნით დარეგისტრირებული იდენტური ან თუნდაც მსგავსი ნიშნის გამოყენება.

**იმედით დაველოდოთ სასამართლოს ზემდგომი ინსტანციების გადაწყვეტილებას. მანამდე კი, ძვირფასო მომხმარებლებო, „ლიბო+“ და „ლიბო“ განუყოფელი ცნებებია და თვითმარქვია „ლიბოში“ არ აგერიოთ.**

**რეკლამებს, რომლებსაც თქვენ მედიასაშუალებებში დღეს ხედავთ, მხოლოდ „ლიბო ჯგუფის“ პროექტების რეკლამაა.**


„საბუდარა“ — საცხოვრებელი სახლი ზემო ვერაზე


ლიბო-ცენტრი ლადიძის ქუჩაზე


ძველი სოლოლაკის ახალი სიცოცხლე

## გიხაროდეთ, ბატონო არჩილ! გიხაროდეთ, სტუდენტებო!

„ლიბო ჯგუფი“ ერთ-ერთი გამორჩეული კომპანიაა იმ ქველმოქმედ კომპანიებს შორის, რომლებიც უშურველად ეხმარებიან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

ამ ერთიოდე კვირის წინათ, „ლიბო ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ იოსებ კირცხალიამ მიმართვა გაუგზავნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს ბატონ არჩილ მოწონელიძეს, რომელშიც ვკითხულობთ:

**ბატონო არჩილ!**

გვაქვს პატივი მოგმართოთ და გაცნობოთ ჰოლდინგური კომპანია „ლიბო ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილება:

ვითვალისწინებთ რა განათლების სფეროში შექმნილ პრობლემებს (მწირ ტექნიკურ ბაზას და შედარებით მცირე მატერიალურ ანაზღაურებას), გვსურს მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ არქიტექტურის და სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა წახალისების საქმეში.

ჩვენ მზად ვართ დავუნიშნოთ „ლიბო ჯგუფის“ სახელობის სტიპენდია ორ წარჩინებულ სტუდენტს არქიტექტურის და მშენებლობის ფაკულტეტიდან და ყოველი აკადემიური წლის დასასრულს ფაკულტეტის თითო წარჩინებული სტუდენტი დავასაჩუქროთ კომპიუტერით, ასევე წავახალისოთ მოწინავე პროფესორ-მასწავლებლები და გადავცეთ მათ ყოველკვარტალური პრემიები. შერჩევის კრიტერიუმები საჭიროდ მიგვაჩნია განხორციელდეს კომისიური წესით, ხოლო თანხის რაოდენობა ფაკულტეტების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით.

„ლიბო ჯგუფი“ უზრუნველყოფს ცნობილი უცხოელი სპეციალისტების მოწვევას არქიტექტურისა და მშენებლობის დარგებში გაცნობითი ხასიათის ლექციების ჩასატარებლად.

„ლიბო ჯგუფის“ მიზანია მაღალკვალიფიციური პროფესიული ტექნიკური დარგების სპეციალისტების მომზადების გაუმჯობესება, რისი დეფიციტიც უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა სამშენებლო კადრების მომზადების სფეროში.

ბედნიერი ვიქნებით, თუ გაგებით შეხვდებით ჩვენს ინიციატივას.

სასურველია, ღონისძიებათა პრეზენტაცია დაემთხვეს სასწავლო წლის დასაწყისს.

* * *

ამ წერილს კომენტარი არ სჭირდება... მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ქართველი და უცხოელი არქიტექტორების სამეცნიერო-პრაქტიკული ღონისძიებები, სტუდენტური პროგრამები ადრეც არაერთხელ დაუფინანსებია „ლიბო ჯგუფს“. იყო თანადგომის სხვა შთამბეჭდავი ფაქტებიც, მაგრამ იოსებ კირცხალიას მათი აფიშირება არ უყვარს.

გასაგებია, რატომაც: მადლის ქმნას ზედმეტი ხმაური არ უხდება... „ლიბო ჯგუფმა“ არაერთი ეკლესია-მონასტერი ააგო და აღადგინა. მათ შორის — ფერისცვალების ტაძარი თბილისში, თაბორის მთაზე; ამაღლების სახელობის VI საუკუნის ტაძარი ცხვარიჭამიაში, ბოდბის ეკლესია-მონასტრის სამრეკლო, აღდგომის სახელობის ეკლესია ნოსირში (სენაკის რ-ნ)... გუშინ კი ჩვენი გაზეთით აცნობა ქართულ საზოგადოებას, რომ სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას გამოჩენილი პოეტის ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმის (ცაგერის რაიონი, სოფელი ბარდნალა) აღდგენაში...

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

**სპარტაკ ქობულია,**
**საქართველოს არქიტექტორთა კავშირის საპატიო წევრი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილს ორ ფრონტზე ომი ემუქრება



**ოსური** შეიარაღებული ფორმირებების კვალზე გაზრდილ საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი აფხაზური არმიაც. სამხრეთ ოსეთში სიტუაციის გამწვავებამ გამოიწვია ის, რომ სოხუმმა უარი თქვა მონაწილეობა მიიღოს გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის შეხვედრაში, რომელიც უნდა გამართულიყო ბერლინში 15 აგვისტოს. მაგრამ ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებანი, ალბათ, არ იქნება საქართველოზე. რუსეთის დიპლომატიის ღია და, როგორც ჩანს, წარმატებული ზემოქმედების შედეგად.

ზედიზედ ორი დღის განმავლობაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი ტელეფონით ესაუბრებოდა ქართველ და ამერიკელ კოლეგებს. პირველი შედეგები დამაიმედებელია. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის მოადგილემ გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა: „თბილისს სურს დაძაბულობის შენელება კონფლიქტის ზონაში და ცხინვალთან მოლაპარაკების დაწყება“.

ეს სიტყვები გაისმა რუსეთის დიპლომატიის მოწოდების პასუხად, რომელიც გამოხატავდა „შეშფოთებას დაძაბულობის ესკალაციის გამო ქართული მხარის მიერ ძალების არაპროპორციული გამოყენებასთან დაკავშირებით“. არსებითად ეს იყო გაფრთხილება: „თბილისმა უნდა შეიგრძნოს მოვლენათა განვითარების რეალური საფრთხე ძალოვანი სცენარის შესაბამისად“.

კიდევ ერთი საუბარი გაიმართა კარასინსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე დენიელ ფრიდს შორის, იმის გათვალისწინებით, რომ ვაშინგტონი საქართველოზე „კონსტრუქციულ ზემოქმედებას“ მოახდენს. ფრიდმა, სხვათა შორის, მხარი დაუჭირა საქართველოში კონფლიქტის მოწესრიგებას „მხოლოდ მშვიდობიანი და მოლაპარაკების მეთოდებით“. ბოლო წლების გამოცდილების გათვალისწინებით, უნდა ველოდოთ თბილისში საქართველოს პრეზიდენტის „ვაშინგტონელი კურატორის“, სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწის მეთიუ ბრაიზას გამოჩენას. როგორც ეს იყო 2004 წლის აგვისტოს, ან 2007 წლის ნოემბერში.

ამ დროს რუსეთმაც და ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც უნდა იჩქარონ. სიტუაცია სულ უფრო და უფრო მეტად გამოდის კონტროლიდან. გრძელდება ცხინვალიდან ბავშვებისა და ქალების ევაკუაცია. მიდიან ქართველებიც. ვრცელდება საშინელი ხმები. ისიც კი, რომ ქართული პოლიციური ძალების დანაკარგებმა პირველი აგვისტოს ღამით 29 კაცი შეადგინა. ცხინვალში დარწმუნებული არიან, რომ ამ მონაცემებს მალავენ. ამტკიცებენ, რომ ქართველი სნაიპერები ესროდნენ ადამიანებს, რომლებიც შეკრებილი იყვნენ ოსი მილიციონერის დაკრძალვაზე. აფხაზეთის ომის ვეტერანები კი მზად არიან, დაეხმარონ ოსებს საბრძოლო მოქმედებათა დაწყების შემთხვევაში.

> *ამ დროს რუსეთმაც და ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც უნდა იჩქარონ. სიტუაცია სულ უფრო და უფრო მეტად გამოდის კონტროლიდან. გრძელდება ცხინვალიდან ბავშვებისა და ქალების ევაკუაცია. მიდიან ქართველებიც. ვრცელდება საშინელი ხმები. ისიც კი, რომ ქართული პოლიციური ძალების დანაკარგებმა პირველი აგვისტოს ღამით 29 კაცი შეადგინა*
>
> ИЗВЕСТИЯ

სოხუმის აქტივიზაცია ქართველი ხელისუფლებისთვის დიდი მოულოდნელობა გახდა. სერგეი ბაღაფშმა გასცა ბრძანება, ჯარების აღმოსავლეთი ჯგუფი მოიყვანონ გაზრდილი საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში. მან ეს ასე განმარტა: „აფხაზეთს არ შეუძლია მშვიდად იცხოვროს, თუ სამხრეთ ოსეთში ომი იქნება“. და უარი თქვა მოლაპარაკებებზე კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. „ჩვენ მოლაპარაკებას არავისთან არ ვაწარმოებთ. არც გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფთან, არც ქართულ მხარესთან“, — განაცხადა მან აფხაზეთის უშიშროების საბჭოს ექსტრემალურ სხდომაზე.

ბაღაფშის სწორედ ამ განცხადებაში დაინახეს ქართველმა ჩინოვნიკებმა სამხრეთ ოსეთში დაძაბულობის ზრდის მიზეზი. კერძოდ, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა განაცხადა: „რუსულმა და აფხაზურმა მხარეებმა მიიჩნიეს, რომ უფრო იოლია გამოიწვიონ დაძაბულობა ცხინვალის რეგიონში და მსხვერპლის ანგარიშზე უარი თქვან ბერლინის შეხვედრაზე“.

ალექსანდრე იაშვილი

# სამხრეთ ოსეთს ბრძოლისათვის ასუფთავებენ

**ქართულ-ოსური** კონფლიქტის ზონიდან მეორე კოლონა გავიდა ლტოვილებისა. შეგახსენებთ, რომ რეგიონში კვლავ ომის სუნი დადგა. უქმე დღეებში ცხინვალს ესროდნენ ქართული მხრიდან სნაიპერული შაშხანებით, მიფრინავდა ნაღმები და 73 მილიმეტრიანი ზარბაზნების ჭურვები. ამიტომ, სანამ გვიანი არ არის, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება უკვე მესამე დღეა ხიზნავს ქალებსა და ბავშვებს. რუსეთის ვლადიკავკაზში, ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ალანიაში ორი დღის განმავლობაში ჩამოვიდა ბავშვებისა და ქალების ორი კოლონა. ხალხი მიდის თავისი ძალებითაც, კერძო მანქანებითა და ტაქსებით. ჩრდილოეთ ოსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს მონაცემებით, ცხინვალი და მისი მიდამოები დატოვა დაახლოებით 2500 კაცმა.

ხალხის გაყვანა ადვილი როდია. სამხრეთ ოსეთში ხომ არ არის მკვეთრი საზღვრები საქართველოსთან. შემოვლითი გზები გარს უვლის ქართულ სოფლებს, სადაც ოსების შესვლა დღითიდღე სახიფათო ხდება. გზები სახიფათოა, ვინაიდან აქ ისვრიან. ამიტომ მოსახლეობა გაჰყავთ სამშვიდობოების თანხლებით — მანქანებს აქვთ ცისფერი ემბლემა ასოებით „მს“ (რუსულად — სამშვიდობო ძალები). მანქანებით მგზავრობა აქ ჯერჯერობით ერთადერთი გარანტიაა იმისა, რომ ტრანსპორტს სროლას არ დაუწყებენ.

ამ დროს საქართველომაც დაიწყო მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია. ასეთი ღონისძიებანი, სამხედრო წესების გათვალისწინებით, ნიშნავს მასშტაბური საბრძოლო მოქმედებებისათვის მზადებას.

ბუნებრივია, ეს ესმით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროშიც. ამჟამად დიპლომატები აქტიურად ცდილობენ ქართველებთან მოლაპარაკებას. პატარა სამხრეთ ოსეთში ომი ხომ მთელ კავკასიას ააფორიაქებს. მოხალისეები პირველივე დაძახებაზე მოვლენ არა მხოლოდ ვლადიკავკაზიდან, არამედ ჩეჩნეთიდან, ინგუშეთიდან... ჯერჯერობით ამ მოლაპარაკებათა შედეგები უცნობია.

თავად სამხრეთ ოსეთში ძირითადად ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ უპასუხონ სროლებს საქართველოს მხრიდან. ქართველებთან სამშვიდობო მოლაპარაკების შესაძლებლობას აქ სკეპტიკურად უყურებენ.

> *ამჟამად დიპლომატები აქტიურად ცდილობენ ქართველებთან მოლაპარაკებას. პატარა სამხრეთ ოსეთში ომი ხომ მთელ კავკასიას ააფორიაქებს. მოხალისეები პირველივე დაძახებაზე მოვლენ არა მხოლოდ ვლადიკავკაზიდან, არამედ ჩეჩნეთიდან, ინგუშეთიდან... ჯერჯერობით ამ მოლაპარაკებათა შედეგები უცნობია*
>
> КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

— საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრმა ჯერ კიდევ შაბათს გამოთქვა სურვილი ჩამოსულიყო ცხინვალში, — განაცხადა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ. — მაგრამ ჩვენ მრავალგზის განგვიცხადებია, რომ ამ სამინისტროსთან კონტაქტები არ გვექნება. იქ წარმოდგენაც კი არ აქვთ ჩვენი რესპუბლიკის სტატუსის განხილვასთან დაკავშირებით. მათთვის სამხრეთ ოსეთი — ეს საქართველოს ნაწილია. ასეთი ვარიანტი ჩვენ ხელს არ გვაძლევს.

ამ დროს, სამხრეთ ოსეთის დაზვერვის მონაცემებით, ქართველებმა კონფლიქტის ზონაში თავი მოუყარეს მძიმე არტილერიას. საკითხი შეეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეოთხე მოტოქვეით ბრიგადას. მას შეიარაღებაში აქვს ჰაუბიცები და ნაღმსატყორცნები. რუსი სამშვიდობოები ამას კომენტარს არ უკეთებენ. „ცისფერჩაფხუტიანები“ მოყვანილი არიან გაზრდილი საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში.



## მსოფლიოს ზურგზე

**ვენესუელის** მთავრობამ მოიწონა კანონები სოციალიზმის მშენებლობის შესახებ: მათ, ვინც ამ კანონებს არ ეთანხმება, ჩავესი წინადადებას აძლევს, მიმართონ სასამართლოს. კანონები წამოაყენა პრეზიდენტმა უგო ჩავესმა.

* * *

**ტოკიოში** ძლიერმა ნაკადმა მუშები საკანალიზაციო მილში ჩაყარა: ერთი კაცი დაიჭრა, ოთხი დაკარგულია. დაზარალებულები სამი მეტრის მიღრმეზე არემონტებდნენ ქალაქის კანალიზაციის ერთ-ერთ განშტოებას. ერთ-ერთი მუშა, რომელიც ნაკადმა გაიტაცა, იპოვეს მძიმე მდგომარეობაში, უგრძნობად. კიდევ ოთხი მუშის ბედი უცნობია. ინციდენტის რაიონში იყო ჭექა-ქუხილი.

* * *

**ჩინეთში** სცემეს ორ იაპონელ ჟურნალისტს, რომლებიც ცდილობდნენ მასალების შეგროვებას კაშგარში ტერაქტის შესახებ. ორშაბათს ამ რაიონში ორმა ტერორისტმა ჩინელ მესაზღვრეებს ესროლა ყუმბარები. შედეგად დაიღუპა 16 კაცი და ამდენმავე მიიღო დაზიანება.

* * *

**პენტაგონმა** ერთი თვით გაახანგრძლივა ავღანეთში 1250 საზღვაო ქვეითი ჯარისკაცის ყოფნის ვადა. ერაყსა და ავღანეთში სამხედრო ქვეითი ჯარების სამსახურის ვადა განსაზღვრულია 7 თვით. ქვეითი ჯარების სამსახურის ვადების გაგრძელება, ალბათ, დაკავშირებულია სიტუაციის გამწვავებასთან ავღანეთში.

* * *

**რიო-დე-ჟანეიროში** დაიღუპა ათი კაცი პოლიციასთან სროლების დროს. ყველა დაღუპული, სავარაუდოდ, ეკუთვნის ნარკომოვაჭრეთა ადგილობრივ ბანდას.

* * *

**„ფენიქსმა“** მარსის ნიადაგში აღმოაჩინა მჟანგავი, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს სიცოცხლის ნებისმიერი ფორმის განვითარებას. რობოტმა ერთი თვის განმავლობაში ქიმიურ ლაბორატორიაში ქიმიურად დაამუშავა გრუნტის ორი ნიმუში.

* * *

**ქარიშხალი** პოლონეთში: ხემ მოკლა ქალიშვილი, ოთხი დაჭრილია, ორი დაკარგული. სილეზიაში ორსაათიან წვიმას თან ახლდა ძლიერი ქარიშხალი. ამოთხრილია ხეები, დაზიანებულია ავტომობილები. ტეშინის მიდამოებში ქარმა მოგლიჯა სახურავი შენობას, რომლის ფართობია თითქმის 2 ათასი კვადრატული მეტრი.

მოსავალი – 2008

# პური გაძვირდება თუ გაიაფდება?



**წლეულს მსოფლიოში ხორბლის დიდ მოსავალს ელიან, რაც ზოგიერთი ექსპერტის ვარაუდით მას საგრძნობლად გააიაფებს და ტონის ღირებულებას 420 დოლარიდან 230 დოლარამდე შეამცირებს — მაგრამ ექსპორტზე მომუშავე კომპანიები თვლიან, რომ მოსავლის აღების პერიოდში ხორბალი ყოველთვის იაფდება, მერე კი ძვირდებაო.**

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში ხორბალი ძირითადად აშშ-დან, რუსეთიდან, თურქეთიდან და ყაზახეთიდან შემოდის და ამ ბიზნესს 22 ჩვენებური კომპანია ეწევა. მდგომარეობას ართულს ის, რომ ხორბლის ფასი, წინა ორ წელთან შედარებით, 300 პროცენტითაა გაზრდილი. და, საერთოდ, ლამის ყველა ნედლეულ-პროდუქციაზე ფასების ზრდა ხორბალსაც გააძვირებს.

სოფლის მეურნეობის მინისტრის ბაკურ კვეზერელის განცხადებით, წლეულს საქართველოში შარშანდელზე ორჯერ მეტ მოსავალს ელიან, თუმცა ესეც ჩვენთვის საჭირო ხორბლის მეოთხედი იქნება.

მინისტრი ვარაუდობს, რომ მომავალში ბევრად მეტ ხორბალს მოიწევენ, რადგან გლეხსაც და მეწარმესაც შემოსავლის ზრდის საკმარისი მოტივაცია ექნებათ.

და მაინც, წლევანდელი კარგი მოსავლის მიუხედავად, ზოგიერთი ექსპერტის აზრით პური შეიძლება გაძვირდეს. წლევანდელი ხორბლის მოსავლის პერსპექტივებზე ტელეფონით ვესაუბრე მიწათმოქმედების ინსტიტუტის კახეთის საცდელი სადგურის დირექტორს, აკადემიკოს **ვლადიმერ ქევხიშვილს.**

— 2007-2008 სამეურნეო წელი, — თქვა მან, — კახეთის მიწათმოქმედთათვის უჩვეულო სიმშრალით დაიწყო, რაც უარყოფითად აისახა ნათესების საერთო რაოდენობაზე. მნიშვნელოვნად შეფერხდა საშემოდგომო თავთავიანი კულტურის აღმოცენებაც. უკვე აღმოცენებულს კი გვალვის აშკარა ნიშნები დაეტყო. მერე, საბედნიეროდ, კლიმატური პირობები გაუმჯობესდა. ამჟამად გრძელდება საშემოდგომო თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება და შედეგი, იმედია, კარგი იქნება. მაგრამ არ შეიძლება იმის აღუნიშვნელობაც, რომ გასაუმჯობესებელია ქვეყნის მიწათმოქმედთა მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფა, ჯერ კიდევ საგრძნობლად დაბალია და ჭირს ტექნოლოგიით გათვალისწინებულ სამუშაოთა ხარისხიანად შესრულება. რაც ცუდად მოქმედებს მოსავლის მოცულობასა და განხორციელებულ სამუშაოთა ეფექტურობაზე. ეჭვი არ არის, რომ თუ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა გაუმჯობესდება, მოსავლის დონე აუცილებლად აიწევს, ფერმერთა შემოსავლებიც გაიზრდება და ქვეყნის დოვლათიც მოიმატებს. — დასძინა დასასრულ ბატონმა ვლადიმერმა.

უთუოდ გასათვალისწინებელია ერთი მომენტიც: შემოტანილი ხორბლის სიიაფე ყოველთვის როდი ნიშნავს, რომ მისი თვითღირებულება სხვისაზე დაბალია. უმეტეს შემთხვევაში ეს გამიზნულია მოხმარების ბაზრის დასაპყრობად და ადგილობრივი წარმოების დასასუსტებლად, რათა მომწოდებელმა წინასწარ გამორიცხოს შემოტანილი პროდუქციისათვის კონკურენციის გაწევის შესაძლებლობა, შემდგომ კი გაზარდოს ფასები და აინაზღაუროს დანაკლისი.

ასეთ ვითარებაში მით უფრო უპრიანია ადგილობრივი წარმოების არა მარტო შენარჩუნება, არამედ განმტკიცება-განვითარება და ხორბალზე მოთხოვნილების საკუთარი ნედლეულით რაც შეიძლება მაქსიმალურად დაკმაყოფილება.

**ნაზი იმნაიშვილი**

ინფლაცია

# „ერთნიშნა“ თუ „ორნიშნა“?



**ძნელად დასაჯერებელია, რომ ქვეყანაში წლიდან წლამდე მზარდი ინფლაციის პირობებში ოფიციალური მონაცემების მიხედვით ეს მაჩვენებელი მუდამ ათი პროცენტის ფარგლებშია. მიუხედავად იმისა, რომ რეალური ინფლაცია ჩვენში დიდი ხანია „ათიან“ ნიშნულს გადასცდა, სარწმუნო ინფორმაციით ეს მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო სესხების გამოყოფის გარანტიების სანაცვლოდ.**

ასეა თუ ისე, 1999 წლის შემდეგ შარშან პირველი წელი იყო, როცა ინფლაციის დონე — ოფიციალური ცნობით — ორნიშნა ციფრით გამოიხატა.

ბოლო ორი წლის მანძილზე ინფლაციის ტემპის ესკალაციის მიზეზად, რომელიც წლეულს კიდევ უფრო ჩქარი ტემპით იზრდება, ექსპერტები ძირითადად, ენერგოშემცველებზე ფასების ზრდითა და სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებს გაცილებული სამთავრობო ხარჯით ხსნიან. გარდა ამისა, ჩვენთვის არაფერი სასიკეთოა, რომ ახლახან რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გამოაცხადა ელექტროენერგიასა და ბუნებრივ გაზზე (ასევე რკინიგზით სატვირთო გადაზიდვებსა და ტელეფონის მომსახურებაზე) 2009-2011 წლებში ტარიფების ზრდის შესახებ. კერძოდ, წლეულს და 2009 წელს გაზის ფასი 25-25 პროცენტით, 2010 წელს — 30 პროცენტით, ხოლო 2011 წელს სულაც 40 პროცენტით გაიზრდება. ეს რაც შეეხება მოსახლეობას, ხოლო მომხმარებელთა ყველა კატეგორიისთვის საშუალო საბითუმო ფასები 2008-2011 წლებში, შესაბამისად, 28,6, 19,9, 28 და 40 პროცენტით მოიმატებს. ამ პირობებში, როცა რუსეთი საკუთარი მომხმარებლებისთვის ფასს ასე საგრძნობლად ზრდის, სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საექსპორტო ფასმაც მნიშვნელოვნად მოიმატოს, რაც, ცხადია, საქართველოს მოსახლეობასა თუ მრეწველობას უმძიმეს ტვირთად დააწვება.

***როცა რუსეთი საკუთარი მომხმარებლებისთვის ფასს ასე საგრძნობლად ზრდის, სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საექსპორტო ფასმაც მნიშვნელოვნად მოიმატოს, რაც, ცხადია, საქართველოს მოსახლეობასა თუ მრეწველობას უმძიმეს ტვირთად დააწვება***

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ბოლო წლებში, ფისკალური პოლიტიკის გამკაცრებით, მთავრობამ შეძლო ბიუჯეტში მიმართული შემოსავლის მნიშვნელოვნად გაზრდა, მაგრამ მიღებული თანხები თითქმის მაშინვე იხარჯება, ხოლო ეროვნული ბანკის მიერ ადრე შეძენილი დოლარების დიდი ოდენობით გაყიდვის შედეგად, ფინანსური რეზერვის საგრძნობი დაგროვება არ ხერხდება.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მაღალი რანგის ჩინოსანთა არაერთგზის განცხადებისა იმის თაობაზე, რომ 2008-2012 წლებში ინფლაცია ათის ფარგლებს არ გასცდება, რასაც ხელი უნდა შეუწყოს სიღარიბის დაძლევისა და სოციალური დაცვის პროგრამების სრული მასშტაბით ამოქმედებამ და, პროფიციტული ბიუჯეტის პირობებში, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებამ. თუმცა, მრავალი ექსპერტის აზრით, ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობისთვის ინფლაციის უაღრესად ნეგატიური პროცესი ახლო პერიოდში კვლავაც მზარდი ტემპით გაგრძელდება.

**ოთარ ტურაბელიძე**

წკეპლიკა

# ფასებო, ნეტავი ჩვენა...

**თბილისიდან ხაშურამდე და ხაშურიდან თბილისამდე მანძილი რომ ერთნაირია, ეს ჩვენს გაზეთს სხვა დროსაც აღუნიშნავს, რასაც, სხვათა შორის, ტრანსპორტის ბოსთა პროტესტი მოჰყოლია. მცირე განსხვავებაც არ გამოგვრჩენია — თბილისიდან იქით აღმართი რომაა და ხაშურიდან აქეთ დაღმართი, ესეც გვითქვამს და ნუთუ ამიტომაა ფასებში ამხელა განსხვავება?..**

ხალხო, თუ თავად არ გიმგზავრიათ, არ დაიჯერებთ, მაგრამ ხაშურიდან თბილისამდე ქუთაისი-თბილისის ელექტრომატარებლით 8 საათზე და 30 წუთზე რომ გადის, **ერთ ლარად** ჩახვალთ; აი, თბილისიდან ხაშურამდე მგზავრობა კი იმავე მატარებლით (15 საათსა და 50 წუთზე აქვს გასვლა) მგზავრობა **3 ლარი** ჯდება!..

მივყვეთ მტკვრისა და ფასების დინებას: ვთქვათ, ხაშურიდან მიდიხარ თბილისში ფოთის ელექტრომატარებლით ეს მგზავრობა **8 ლარი (!) „ნაღირება“** („მარშრუტკაზე“ 2 ლარით მეტი, კაცო!). ნუგეშად სიჩქარე გაგყვებათ: განრიგით ხაშურიდან 13.25-ზე გასული თბილისში 15.15-ზე იქნებით (განრიგით!). ფოთზე ვერ მოასწარით? მერე რა, 16-06-ზე ოზურგეთის ელექტრომატარებელი შემოგრიალდება და ამჯერად 4 ლარად 18.20-ზე ჩაგიყვანთ თბილისში (განრიგით!). თავაზიანმა მოლარემ ისიც მაცნობა, რომ „გაქანებული“ ღამით მგზავრობა გაცილებით იაფია. არადა, სამგზის წყეული კომუნისტების დროს ტარიფი დღე-ღამეზე არ ყოფილა დამოკიდებული. ეტყობა, ის ხელისუფლება იყო **არიფი...**

ასეა თუ ისე, დაგელოცოს სამართალი, საბაზრო ეკონომიკავ!..

**თამაზ ებანოიძე**

ინფორმაცია

## მემორანდუმის შემდეგ ეპიდემია უკან დაიხევს

**საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის წარმომადგენელმა კავკასიის რეგიონში სტივენ ბლაუნტიმ ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს მოაწერეს ხელი.**

**როგორც ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, მემორანდუმით საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი და ამერიკული მხარე გამოყენებითი ეპიდემიოლოგიისა და ლაბორატორიული საქმის სწავლების სამხრეთ კავკასიის რეგიონული პროგრამის მხარდაჭერას ადასტურებენ.**

**პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში დაავადებათა ეპიდზედამხედველობის, ეპიდაფეთქებებზე რეაგირებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში შესაძლებლობების გაძლიერებას.**

**ხელმოწერის ცერემონიას აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის წარმომადგენლები სკოტ ფაუელი, ედმონდ მეისი, საფრთხეების შემცირების აშშ-ის თავდაცვის ოფისის უფროსი ნათერ კასელი დაესწრნენ.**

ინტერპრესნიუსი

ჩემპიონთა ლიგა

# დღეს დიდუბეში



დღეს 20 საათზე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე დაიწყება ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ათენის „პანათინაიკოსს“ შორის. შეგახსენებთ, რომ პირველი რაუნდი ბერძნებმა 3:0 მოიგეს, რითაც „თეთრ-ლურჯებს“ თითქმის გადაუჭრელი პრობლემა შეუქმნეს.

მასპინძელთა მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ დისკვალიფიკაციის გამო მინდორზე ვერ გამოვლენ ინწკირველი და კაშია. რაც შეეხება გუნდის ლიდერ მერებაშვილს, მან მენისკის ოპერაცია გაიკეთა და პარტნიორებს ორი თვით გამოაკლდა.

დავძენთ, რომ დღევანდელ შეხვედრას რუმინელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება.

ექო



**ქართული ანდაზა „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“ კარგად მიესადაგება ზესტაფონის ფეხბურთელთა გუნდს. 31 ივლისს ყვირილისპირელებმა უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრა შინ სამარცხვინოდ წააგეს. უკვე მერამდენედ ხდება ეს ზესტაფონელთა თავს – სტუმრად კარგი თამაში, საკუთარი მაყურებლის წინაშე კი სრული ფიასკო.**

სამაგიეროდ, გუნდში არიან შორეული აფრიკელები, ჭიათურის მანგანუმზე უფრო შავი ფერის ფეხბურთელები: სანტოსი (თითქოს ბრაზილიელი ცნობილი ფეხბურთელი ჯალმა სანტოსი იყოსძ, ბოიომო, ჩასემი და ვიერა. ოთხმა ძლიერმა ლეგიონერმა გუნდში განსაკუთრებული კლიმატი უნდა შექმნას, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი არ არიან მაღალი დონის მოთამაშეები, არ შეუძლიათ ამა თუ იმ შეხვედრის ბედის გადაწყვეტა. საკითხავია, რისთვის იყო საჭირო მათი ზესტაფონში მოწვევა? მე მათ შესახებ ასეთ ანდაზას მოვიშველიებ: „ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო“, მაგრამ თავშესაფარი მაინც ჩვენთან ნახეს.

## არა შეჯდა მწყერი ხესა...

მე ზესტაფონის გუნდს ვსაყვედურობ, მაგრამ არის კი რომელიმე ფეხბურთელი ადგილობრივი? ვთქვათ, საკუთრივ ზესტაფონიდან, საქარიდან, სვირიდან, ტაბაკინიდან, ღვანკითიდან, ზორვეთიდან თუ რომელიმე სხვა სოფლიდან. რა თქმა უნდა, არა.

ზესტაფონის კლუბის თავკაცობამ ყველა პირობა შეუქმნა ფეხბურთელებს წარმატებისათვის: სათანადო ანაზღაურება, სავარჯიშო პირობები და ააშენა დიდებული სტადიონი. ამის საპასუხოდ სტადიონზე მისული 5000 მაყურებელი შინ გაწბილებული წავიდა. მიზეზი? ფეხბურთელთა უჯიგრო და უნიათო თამაში, არავითარი მონდომება და პატრიოტული სული. მაგრამ საკითხავია, ვისგან ვითხოვთ ჩვენ ამას – იგივე სანტოსისგან, ბოიომისგან, ჩასემისგან და ვიერასგან? შეწუხდებიან ამ წაგებაზე ისინი ვითომ ჩვენსავით? – ვერ დავიჯერებ. მე, როგორც ქართული ფეხბურთის სტაჟიანი გულშემატკივარი, ზესტაფონელთა ასეთ ჩავარდნას არ ველოდი. მეგონა, რომ ბატონი თემურ მახარაძე გუნდს სხვანაირად დამუხტავდა გასამარჯვებლად.



გვეყო ქართული ფეხბურთის ამდენი შერცხვენა საერთაშორისო სარბიელზე, ყველაფერს ხომ თავისი საზღვარი აქვს!

ახლა ორიოდე სიტყვას უსირცხვილო თბილისის „დინამოზეც“ ვიტყვი. საბერძნეთში 3:0 რომ ჩაფლავდნენ, თურე ერთ-ერთი ფეხბურთელის – კაშიას თქმით, არ იმსახურებდნენ ასეთ წაგებას. მოდი და ამის შემდეგ მათ პასუხი მოსთხოვე. ყველაფერი დღეს თბილისში გაირკვევა. მერე რაღას იტყვიან?

**დურმიშხან ცინცაძე**

ჭიდაობა

# ოთხი მედალი – ისიც „თავისუფლების“ ხარჯზე

**სტამბოლში დამთავრდა ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც საქართველოს წარგზავნილებიც მონაწილეობდნენ. ამას წინათ გაუწყეთ, რომ ჩვენმა ბიჭებმა ევროპის პირველობაზე სახელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. სამწუხაროდ, თურქული სარბიელი მათთვის ფეხბედნიერი არ აღმოჩნდა, განსაკუთრებით – „კლასიკოსებისთვის“. ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებმა სტამბოლში ვერც ერთი მედალი ვერ აიღეს. რა იყო ამგვარი ფიასკოს მიზეზი, ალბათ, მათი შინ დაბრუნების შემდეგ შევიტყობთ.**



რაც შეეხება თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს, მათ ოთხი მედალი და გუნდური მესამე ადგილი დაიმსახურეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურთან ახლოს იყო ბექა ჭელიძე, რომელსაც წლეულს ევროპის პირველობაზე არ უასპარეზია. მან ზედიზედ ოთხი მეტოქე დაამარცხა. ინდოელი ნარეშ კუმარი, ლატვიელი ანტანს აზარევიჩი, აზერბაიჯანელი ასლანბეკ ალბოროვი, ამერიკელი მაიკლ ლეტსი და ფინალში რუსეთელი აბდუსალიმ გადისოვის დასაჩოქებლად ძალა არ ეყო. საბოლოოდ იგი ვერცხლის მედალს დასჯერდა.

კვლავ გაგვაკვირვა გორელმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა. ამ 17 წლის ბიჭმა წლეულს ევროპის პირველობებ:ბზე (18 და 20-წლიანებშიძ ოქროს მედლები დაიმსახურა. სტამბოლშიც ღირსეულად ჩაება 2-3 წლით უფროსებთან ბრძოლაში. ჯერ ინდონეზიელი იოლანდ პუტრა ჩამოიშორა გზიდან, მერე ვენესუელელი რამონ რივერო დაჩაგრა. მესამე წრეში მომავალ მსოფლიო ჩემპიონ თურქს აჰმეთ პეკერს დაუპირისპირდა. როგორც შევიტყვეთ, მსაჯებმა მას პირველი პერიოდი 0:1 დაათმობინეს, სამაგიეროდ, მეორეში ლამაზი გდებით 3:0 გაიმარჯვა. დამატებითი ორწუთიანი მონაკვეთი მასპინძლებმა მიითვალეს და რადგანაც პეკერი ფინალში გავიდა, ლადოც დამამშვიდებელ ჯგუფში ჩაერთო, სადაც ირანელ ფარზად ჯაფარისა და უზბეკ ოზბეკ კამაროვს სძლია, რითაც ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ასევე, მესამე ადგილებზე გავიდნენ გიორგი მარსაგიშვილი (74ძ და ლევან ბერიანიძე (120ძ. საბოლოოდ, საქართველოს ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში 41 ქულით, როგორც აღვნიშნეთ, მესამე ადგილი დაიკავა. პირველ-მეორეზე რუსები (69ძ და ირანელები (49ძ გავიდნენ.

**ვაჟა დანელია**

ინტერნეტიდან

## ვიში ანანდი – ყველაზე სწრაფი



**ინდოელმა დიდოსტატმა ვიშვანათან ანანდმა ერთხელ კიდევ გაახარა თავისი გულშემატკივრები, გაიმარჯვა რა სწრაფ ჭადრაკში მე-13 მსოფლიო ჩემპიონატში. მან ფინალში დაამარცხა ნორვეგიელთა ახალგაზრდა ვუნდერკინდი მაგნუს კარლსენი – 3:1.**

მესამე ადგილისთვის კი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ რუსეთელი ალექსანდრე მოროზოვიჩი და უნგრელი იუდით პოლგარი. გაიმარჯვა პირველმა – 2,5:1,5.

წინასწარი ორწრიანი ტურნირი კი ასე დამთავრდა.: ანანდი – 6 შესაძლებლიდან 4, კარლსენი – 3,5, მოროზოვიჩი – 3, პოლგარი – 1,5.

## რეკორდი დამტკიცებულია

**მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ რატიფიკაციაში გაატარა 100 მეტრზე სირბილში იამაიკელი სპრინტერის უსეინ ბოლტის მიერ 2008 წლის 31 მაისს დამყარებული მსოფლიო რეკორდი – 9,72.** წინა რეკორდი – 9,74 ეკუთვნოდა მის თანამემამულეს ასაფა პაუელს, რომელიც მან 2007 წლის 9 სექტემბერს დაამყარა რეიტში.




## ბრაზილიაში თამაში ენატრება

**თუმცა „იუვენტუსის“ ბრაზილიელი თავდამსხმელი ამაური უახლოეს ხანში მიიღებს იტალიის მოქალაქეობას, მაგრამ მაინც ბრაზილიის ნაკრებში თამაშზე ოცნებობს.** ისე რომ, 28 წლის ფეხბურთელმა ფაქტობრივად უარი უთხრა იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ მარჩელო ლიპის, რომელსაც უნდოდა ამაურის „სკუადრა აძურას“ დროშის ქვეშ თამაში.

„ჯერ კიდევ ბავშვი ვოცნებობდა ბრაზილიურ გუნდში თამაშზე, ბედნიერი ვიქნები, თუ კი დუნგამ ყურადღება მომაქცია“, – აღიარა ფორვარდმა.

## იტალიელთა თაყვანისმცემელი

**თავად თაყვანისმცემლებს რა გამოულევს ქალთა ჩოგბურთის ერთ-ერთ ლამაზმანს, ცნობილ სლოვაკ ჩოგბურთელ დანიელა ჰანტუხოვას, მაგრამ თვითონ თურმე ყოველივე იტალიურის, პირველ რიგში კი იქაური ფეხბურთის, თაყვანისცემელი ყოფილა. ეს მან აღიარა ორი იტალიური ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუებში, დიდი ადგილი რომ დაუთმეს. დანიელა ეცადა, გაეხარებინა თავისი იტალიელი ქომაგები, განაცხადა რა, რომ მას ბევრი რამ აკავშირებს ამ ქვეყანასთან.**

მან აღიარა, რომ ძალიან უყვარს იტალიური ფეხბურთი და რომ „რომას“ გულშემატკივარია, მისი საყვარელი ფეხბურთელი კი იქაური ტიფოზების კერპი ფრანჩესკო ტოტია. საყვარელ დიზაინერებად კი გამოაცხადა Armani, Cavalli და Missoni.



როგორც ამბობენ, ამ ინტერვიუებით სლოვაკმა ჩოგბურთელმა აპენინებზე თაყვანისმცემლები მოიმრავლა. და ახლა იტალიაში გამართულ ყოველ ტურნირზე გულშემატკივრების მხარდაჭერა გარანტირებული აქვს.

# განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) განმეორებით აცხადებს ღია აუქციონს სს „ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის“ ს/ნ 219982259 (მდებარე: ზუგდიდის რ-ნი, სოფ. ინგირი) დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით. სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნება სს „ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის“ შემდეგი დასახელების ქონება:

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
|---|---|---|---|---|
| | | | [illegible] | [illegible] |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

ქონების საერთო ღირებულება: 458878.8 ოთხასორმოცდათვრამეტიათას რვაასსამოცდათვრამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი.

ქონების ადგილმდებარეობის ფაქტიური მისამართია: ზუგდიდის რ-ნი, სოფ. ინგირი

აუქციონი გაიმართება 2008 წლის 21 აგვისტოს 12 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №87, მე-4 სართულზე ფოთის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციაძ ზუგდიდის ოფისის შენობაში.

აუქციონზე ქონების შეძენის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე უნდა შეიტანონ შესაძენი ქონების ღირებულების 2% (მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ცენტრალიზებული ანგარიშის ნომერი 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი 302003000ძ. მესამე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე უფლება აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილ ქონებაზე, შეუძლიათ მიმართონ ფოთის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციაძ აუქციონის ჩატარებამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №7. ტელ.: 8(293ძ2-07-04; 8(293ძ2-07-06.

## ინფორმაცია

### სატყეო უბნის უფროსი გაათავისუფლეს

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ჩავიდა და სატყეო სამმართველოსა და ინსპექციის თანამშრომლებს შეხვდა.

ირაკლი ღვალაძემ ხე-ტყის უკანონო ჭრასთან დაკავშირებით თანამდებობიდან გაათავისუფლა ადიგენის სატყეო უბნის უფროსი სოსო რეხვიაშვილი, რეგიონის სამმართველოს უფროსს მალხაზ გიძოშვილს კი, სამსახურებრივი გულგრილობისთვის ბოლო გაფრთხილება მისცა.

არსებული ინფორმაციით, უკანონო ჭრის მიხედვით, ადიგენის რაიონი საქართველოში პირველ ადგილზეა.

### ბებიას შვილიშვილს არ უბრუნებენ

ქუთაისის საქალაქო სასამართლო ვალენტინა ონიშჩენკოს სარჩელს განიხილავს.

ბებია შვილიშვილის დაბრუნებას ითხოვს. მისი განცხადებით, 5 წლის შვილიშვილი ბავშვის ნათლიამ ელენე ტუკვაძემ მოტყუებით წაართვა და ერთი წელია, მის ნახვას უკრძალავს.

საქმის მასალების მიხედვით, ონიშჩენკოს ქალიშვილი გარდაეცვალა, ამის შემდეგ ტუკვაძემ ბავშვი სახლში წაიყვანა მოსავლელად. მოგვიანებით, ელენე ტუკვაძემ ბავშვზე მეურვეობა ითავა და ბებიას შვილიშვილს აღარ უბრუნებს.

ვალენტინა ონიშჩენკოს ადვოკატი ნიკა კანკავა აცხადებს, რომ ტუკვაძეს ბავშვის წაყვანის საფუძველი არ გააჩნდა.

ტუკვაძე ყოფილი გამომძიებელია და ადვოკატი ეჭვობს, რომ მას სამართალდამცავი ორგანოები მფარველობდეს.

ინტერპრესნიუსი

## განცხადება

### აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებით

შპს „რუს-ცემენტის“ გაკოტრების მმართველი დათუნა გიგინეიშვილი, გაკოტრების საქმიდან გამომდინარე, აცხადებს აუქციონს 2008 წლის 25 აგვისტოს, დღის 3 საათზე.

აუქციონზე გამოტანილი იქნება შპს „რუს-ცემენტის“ ძირითადი ქონება. აუქციონი ჩატარდება პირდაპირი მიყიდვის წესით, შემდეგ მისამართზე: ქ. სამტრედია, ა. გრიბოედოვის ქ. №55ა.

ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს გაკოტრების მმართველს დათუნა გიგინეიშვილს – ტელ: 899 28-62-29.

2008 წლის 27 ივნისს გადაწყვეტილების შესაბამისად მიმდინარეობს შპს „ბანის“ (ს. კ. №206112473ძ გაყოფა საწარმოებად.

დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, მოგვმართოთ, მისამართზე: მოსკოვის გამზირი №25, ტელ: 899-11-10-75.

## ხელოვნება

# გურამ ბუაჩიძე

19 ივლისს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, საველე სამუშაოების პირობებში, 76 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა ქართული ჰიდროგეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ლიდერი, მრავალმხრივი მეცნიერი, საქართველოს გეოთერმული ასოციაციის პრეზიდენტი, ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი გურამ იოსების ძე ბუაჩიძე.



დაიბადა 1932 წლის 7 იანვარს, ქართული გეოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ქართული ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური სკოლის დამაარსებლის იოსებ ბუაჩიძის ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ მომავალი სპეციალობის არჩევანი განაპირობა ოჯახურმა გარემოებამ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში პროფ. ი. ბუაჩიძის მიერ ახლადჩამოყალიბებულ ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პრობლემის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში, სადაც პირველი დღიდან სიცოცხლის ბოლო წუთებამდე გაიარა საკმაოდ დიდი, რთული, სახელოვანი, საინტერესო და მეტად ნაყოფიერი გზა ლაბორანტობიდან ინსტიტუტის დირექტორობამდე.

ამავე ლაბორატორიის კედლებში, რომელმაც ევოლუცია განიცადა ლაბორატორიიდან – ინსტიტუტამდე, დაამუშავა ჯერ საკანდიდატო და შემდეგ სადოქტორო დისერტაციები (ეს უკანასკნელი დაიცვა კიევშიძ. მისი კვლევების ინტერესთა სფერო იყო მეტად მრავალმხრივი: კავკასიის მინერალური წყლების თანხლები აირები, მიწისქვეშა წყლების ასაკის კვლევა (წყლების ასაკის გამზომი იზოტოპური ლაბორატორია პირველმა შექმნა ჩვენი ქვეყნის პირობებშიძ, გეოთერმია (ქანების თერმული თვისებების განმსაზღვრელი ლაბორატორია პირველად შეიქმნა მისი თაოსნობითძ, ბუნებრივი აირებისა და გეოთერმული პირობების რეგიონულ კანონზომიერებათა კვლევა და სხვა.

იყო 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, მათგან 6 მონოგრაფიისა. მისი ხელმძღვანელობით ბევრმა დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. წლების მანძილზე არჩეული იყო მსოფლიო გეოთერმული ასოციაციის დირექტორიატის წევრად, რაშიც ხელს უწყობდა უცხო ენების (რუსული, ინგლისურიძ კარგი ცოდნა. მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა საქართველოს გეოთერმული ასოციაცია, რომლის უცვლელი პრეზიდენტიც თვითონ გახლდათ.

არც ერთი მნიშვნელოვანი ჰიდროგეოლოგიური თუ გეოთერმული პროექტი არ განხორციელებულა საქართველოში, რომელშიც აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს გ. ბუაჩიძეს (მინერალური და თერმული წყლების მარაგების გამოთვლა თუ მათი ათვისების პროექტების შედგენა, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესწავლა და სხვაძ. ამის დასტურია მისი ბოლო გასვლა საველე სამუშაოებზე, რომლის მიზანიც იყო ქ. ქუთაისის წყალმომარაგების ერთ-ერთი ვარიანტის შესწავლა.

1995 წლიდან – 2006 წლამდე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

გ. ბუაჩიძე ადვილად შედიოდა ურთიერთობაში ადამიანებთან. მასთან საველე ექსპედიციებში და სამეცნიერო დელეგაციებში გატარებული დღეები სამახსოვროდ და ტკბილ მოგონებებად დარჩა ყველა მის კოლეგას. მას ეხერხებოდა გაელამაზებინა გარემოცვა თავისი იმერული იუმორით გასხივოსნებული ხალისიანი ბუნებით.

ძნელია შეეგუო ამ ასაკის მქონე ენერგიით, გონიერებით, გამოცდილებითა და ხალისით გამორჩეული მაღალი პროფესიონალის, მეგობრისა და კოლეგის გაუგონარი ტრაგიზმით დაღუპვას.

სსიპ ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტი;
საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება;
საქართველოს გეოთერმული ასოციაცია;
საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გეოლოგიური დეპარტამენტი;
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ. ფაქსი: 98-65-87.

## ანეკდოტები

– მიხო, შენს ნაწერში რად არის ზუსტად ისეთი შეცდომები, როგორიც შენს მერხზე მჯდომი მაროს საკონტროლო ნამუშევარში? – ეკითხება მასწავლებელი.



– რა გასაკვირია, ჩვენ ხომ ერთი მასწავლებელი გვყავს.

* * *

– მიხო, შე საძაგელო, რად ესროლე თედო პაპას აგური?
– მეტს არ ვესვრი, მასწ.
– აწი გინდ ესროლე და გინდ – არა.

* * *

– ბავშვებო, რომელი ციფრია ყველაზე ეროტიკული? – ეკითხება მასწავლებელი მოსწავლეებს.
– 21591, მასწ! – წამოიძახა მიხომ.
– რატომ? იქნებ აგვიხსნა? – ეკითხება გაკვირვებული მასწავლებელი.
– იმიტომ, რომ თუ ორი ადამიანი ერთსა და იმავეზე ფიქრობს, მაშინ მინიმუმ ხუთი კვირის შემდეგ ისინი მიხვდებიან, რომ ცხრა თვის მერე სამნი გახდებიან.

* * *

ნიკა მიხოს ეწვია. ხედავს, რომ მასპინძელი გამწარებით ხევს ბინის კედლიდან შპალერს.
– რაო, მიხო, რემონტს იწყებ?
– არა, გადავდივარ.

* * *

– ძუკნა! – ფიქრობდა ორი ქალი, თბილი ღიმილით რომ შესციცინებდნენ ერთმანეთს თვალებში.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

პასუხისმგებელი რედაქტორი
რუსლან რუსია
899 17-21-21

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.